TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

TRC Talks

2021

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი (TRC), საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) ბაზაზე, 2018 წელს შეიქმნა. TRC საკუთარ მისიად, საქართველოში ტერორიზმისა და მისი მომიჯნავე თემების შესახებ მაღალი ხარისხის ცოდნის შექმნას, დაგროვებასა და გავრცელებას მოიაზრებს.

2021 წლის იანვრიდან, TRC, ონლაინ შეხვედრების სერიას (TRC Talks) მასპინძლობს, რომლის ფარგლეშიც ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად, ტერორიზმთან, რადიკალიზაციასთან და ექსტრემიზმთან დაკავშირებულ საკითხებზე დგება საუბარი. შეხვედრებზე განიხილება, როგორც ამ თემების აკადემიური და სამეცნიერო მხარეები ასევე, მსოფლიოს მასშტაბით, ამ მიმართულებებით მიმდინარე მოვლენები. TRC Talks - ის რესპონ-დენტები არიან პრაქტიკოსები და მკვლევრები, პარტნიორი სახელმწიფოებიდან.

დისკუსიები თვეში ერთხელ იმართება და ონლაინ რეჟიმში გადაიცემა TRC-ის და GCSD-ის Facebook გვერდებზე. ასევე, დისკუსიების ჩანაწერების ხილვა შესაძლებელია ცენტრის Youtube არხზე.

სარჩევი

TRC TALK 1 |	ტერორიზმის და კონტრტერორიზმის მიმართულებით არსებული გამოწვევები ბაიდენის ადმინისტრაციისთვის	2
TRC TALK 2 |	უსაფრთხოების და ადამიანის უფლებების დილემა როგორც სამართალდამცავი ორგანოების გამოწვევა	6
TRC TALK 3 |	ექსტრემისტული იდეოლოგიების ფორმირება და ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ადამიანების რეკრუტირება	10
TRC TALK 4 |	სოციალური მედია როგორც ექსტრემისტთა მობილიზების საშუალება	14
TRC TALK 5 |	ტერორისტების მობილიზაცია - რეკრუტირების კერები	18
TRC TALK 6 |	სოციალური პოლარიზაციის გამოყენება ექსტრემისტული ჯგუფების მიერ	21
TRC TALK 7 |	ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმთან დაკავშირებული საფრთხეების შემცირება	24
TRC TALK 8 |	ავღანეთში შექმნილი ვითარების ანალიზი - თალიბანის დაბრუნება	27
TRC TALK 9 |	ულტრამემარჯვენე ძალადობა და ტერორიზმი - კონცეფციები, მახასიათებლები და პრევენციის კუთხით არსებული გამოწვევები	31
TRC TALK 10 |	კაცები, ქალები და დაეშის ბოკვრები - გენდერული როლების ანალიზი ტერორიზმში	35
TRC TALK 11 |	ძალადობრივი ექსტრემისტების ჩამოშორება და დერადიკალიზაცია	38
TRC TALK 12 |	ტერორიზმის და ძალადობრივი ექსტრემიზმი - 2021 წლის მიმოხილვა	42

ელენა პოკალოვა

დოქტორი ელენა პოკალოვა უსაფრთხოების საკითხების ექსპერტია. მისი შესწავლის საგანს ტერორიზმი და კონტრტერორიზმი წარმოადგენს. დოქტორმა პოკალოვამ პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორის ხარისხი მოიპოვა კენტის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ოჰაიო). ამჟამად იგი ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია, სადაც უსაფრთხოების კვლევების კურსს უძღვება.

დისკუსიის ჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://youtu.be/UPy1PEtjfmw

TRC TALK 1 | ტერორიზმის და კონტრტერორიზმის მიმართულებით არსებული გამოწვევები ბაიდენის ადმინისტრაციისთვის

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ არენაზე მომხდარი ნებისმიერი საშინაო თუ საგარეო ცვლილება მნიშვნელოვნად აისახება დანარჩენ მსოფლიოზე. ამ მხრივ, გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ კონტრ-ტერორიზმი და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ბაიდენის ადმინისტრაციის პოლიტიკის ერთ-ერთ ცენტრალურ მიმართულებად დარჩება. თუმცაღა, ამ თემის განხილვამდე, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ ტრამპის ადმინისტრაციის ძირითადი მიღწევები და გამოწვევები კონტრ-ტერორისტული სტრატეგიისა და მისი პრაქტიკული განხორციელების კუთხით.

კონტრ-ტერორიზმისა და ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში ტრამპის ადმინისტრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს დაეშის ლიდერის, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის განეიტრალება სირიაში აშშ-ს სამხედრო ოპერაციის ფარგლებში, 2019 წლის ოქტომბერში, რამაც შესამჩნევი ზიანი მოუტანა ტერორისტულ ორგანიზაციას. 2019 წლის მარტისთვის დაეშმა დაკარგა საბოლოო ტერიტორიები და სიმაგრე სირიის ქალაქ ბაბუზში, რაც უკვე მიგვანიშნებდა სახალიფოს ტერიტორიული პროექტის ნგრევაზე. მართალია, ჯერ კიდევ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე, განიხილება თუ არა ეს ყველაფერი დაეშის დასასრულად, მაგრამ ფაქტია, აღნიშნული ტრამპის ადმინისტრაციის მნიშვნელოვან მიღწევად რჩება.

ამას გარდა, საყურადღებოა ამერიკელი უცხოელი მეომრების რეპატრიაციის საკითხი. მთელი მსოფლიოდან დაეშსა და სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებს სირიასა და ერაყში 40-45 ათასამდე პიროვნება შეუერთდა, მათ შორის იყო აშშ-ს მოქალაქეების საკმაოდ დიდი კონტიგენტიც. ცხადია, სახალიფოს დაშლის შემდეგ ამ ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილზევე დარჩა. მაშინ, როდესაც სახელმწიფოების უმეტესობა ჯერ კიდევ ორჭოფობდა, ტრამპის ადმინისტრაციის მთავრობა ერთ-ერთი იყო იმ მცირეთაგან, რომლებმაც სცადეს უცხოელი მეომრების სამშობლოში დაბრუნება. უნდა აღინიშნოს, რომ, ერთი მხრივ, უცხოელი მებრძოლების სირიასა და ერაყში დატოვებით პასუხისმგებლობა ხსენებულ ქვეყნებს ეკისრება, რასაც ბევრი გაურკვევლობა მოჰყვება თან. მეორე მხრივ, მათი ქვეყანაში დაბრუნება და გასამართლება, დერადიკალიზაცია და ჩართულობის შეწყვეტა სარისკო, თუმცაღა კონტროლირებადი ნაბიჯია. სწორედ ამ თვალსაზრისით, ტრამპის ადმინისტრაციამ კონტროლირებად რისკებზე შეაჩერა არჩევანი და სცადა ამ ადამიანების ისევ ჩვეულებრივ მოქალაქეებად გადაქცევა.

მიუხედავად საკითხის ირგვლივ არსებული ცხარე დებატებისა, ასევე აღსანიშნავია, რომ ტრამპის პრეზიდენტობისას ნამდვილად იყო საზღვრების უსაფრთხოების გაზრდისა და ქვეყანაში შემოსვლის მსურველთა შემოწმების მხრივ მიღწევები. თუმცაღა, კრიტიკოსების მოსაზრებით, ეს ყველაფერი სხვა სფეროებში ქმნიდა პრობლემებს.

მართალია, 6 იანვრის მოვლენების შემდეგ აღნიშნულის თქმა სადავოა, თუმცა ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის თვალსაზრისითაც, ტრამპის ადმინისტრაციის პერიოდში უშიშროებაზე პასუხისმგებელმა სააგენტოებმა და განსაკუთრებით გამოძიების ფედერალურმა ბიურომ აღიარეს, რომ ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის საფრთხე ამერიკის შეერთებულ შტატებში იზრდება. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები კი ცხადყოფდა, რომ აშშ არ იქნებოდა მსგავსი იდეოლოგიისადმი ტოლერანტულად განწყობილი.

რაც შეეხება გამოწვევებს, პირველ რიგში, ტრამპის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკასა და თავად პრეზიდენტის გამოსვლებში არსებულმა მრავალმა ურთიერთ-საწინააღმდეგო განცხადებამ და მესიჯმა შეაფერხა მოკავშირეებთან თანამშრომლობა კონტრ-ტერორიზმის მიმართულებით. უფრო საყურადღებო პრობლემა კი წარმოშვა ტერიტორიული სახალიფოს დამარცხების შემდეგ ქურთი მოკავშირეების მიტოვებამ. ამან, ერთი მხრივ, რუსულ ჯარებს მისცა სირიაში შესვლისა და პოზიციების გამყარების საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, დაეშმა შეძლო სირიისა და ერაყის ზოგიერთ ნაწილებში დაბრუნება და ძალების აღდგენის ფაზაში გადასვლა. ეს ყველაფერი უფრო შესამჩნევი ხდება საპატიმრო დაწესებულებებზე დაკვირვებისას. სირიის დემოკრატიული ძალების კონტროლის ქვეშ არსებული საპატიმრო-ებიდან დაეშის წევრი პატიმრები წარმატებით ახერხებენ გაქცევას.

ბოლოს, კიდევ ერთი აქტუალური და საკამათო საკითხია ტრამპის ადმინისტრაციის მიერ თალიბანთან დაწყებული მოლაპარაკებები. აღსანიშნავია, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებების მხრივ არის გარკვეული პოტენციალი, თუმცაღა დიდი წილი წარმატებისა დევს იმაზე, იქნება თუ

არა თალიბანი ბოლომდე ერთგული და ახლადფორმირებულ ელემენტებთან (დაეშის ხორესანის პროვინცია და სხვ.) დაახლოების ნაცვლად შეუწყობს თუ არა ხელს სამშვიდობო პროცესებს. განსაკუთრებით ეს ყველაფერი საყურადღებო ხდება აშშ-ს ჯარების მთლიანად გაყვანის სცენარის შემთხვევაში, რასაც შეუძლია 2001 წლამდე არსებული სურათის დაბრუნება ავღანეთში.

დამატებით, ტრამპის რიტორიკამ და ისლამისტებისა და ულტრამემარჯვენე ექსტრემისტების მიმართ გატარებულმა პოლიტიკამ, შეიძლება უნებლიედ, მაგრამ მაინც ხელი შეუწყო ულტრამემარჯვენე მოძრაობების გაძლიერებას ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ 2018 წლის ეროვნული კონტრ-ტერორიზმის სტრატეგია შეიცავდა ტერორიზმთან ბრძოლის პროცესში ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების გზების გაძლიერებისა და პრევენციის კომპონენტებს, იყო გამოწვევები სიძულვილის რიტორიკისა და სიძულვილის იდეოლოგიებთან მიმართებით, რაც ჰქმნის სასათბურე პირობებს ძალადობისა და ტერორიზმისთვის. შესაბამისად, დღეისათვის აშშ „ორ ფრონტზე იბრძვის“: ისლამისტური ორგანიზაციებიდან მომდინარე მუდმივი საფრთხე და ულტრამემარჯვენე ჯგუფების გაძლიერება ქვეყნის შიგნით, რასაც მართვა და ახალი მიდგომა სჭირდება.

აშშ-სა და ევროპისთვის, დღეისათვის ყველაზე დიდ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს ის პირები, რომლებიც რადიკალიზირდნენ დაეშის მიერ, მაგრამ ვერ მოახერხეს სირიასა და ერაყში გამგზავრება და დარჩნენ თავიანთ სამშობლოებში. ისინი არ არიან უსაფრთხოების ძალების რადარებზე, რამდენადაც მათ უმეტესობას არ აქვს არანაირი კრიმინალური წარსული, თუმცაღა, რჩებიან ადგილზე და ელოდებიან დაეშის პროპაგანდისტულ შეტევას ან თავდასხმის დაგეგმვას.

კიდევ ერთი კრიტიკული საკითხია დერადიკალიზაცია იმ ადამიანებისა, რომლებსაც ჩადენილი აქვთ ტერორიზმის ან დაეშის მხარდაჭერასთან დაკავშირებული დანაშაულები. ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულისთვის სასჯელი, საშუალოდ, 13.2 წლიანი პატიმრობაა, თუმცაღა, საბოლოოდ ეს ადამიანები თავისუფლდებიან. დღეის მოცემულობით, აშშ-ს არ აქვს ციხეში რადიკალიზაციის პრევენციისთვის შეთანხმებული ძალისხმევა და არსებობს დიდი რისკი, რომ ციხიდან გამოსული პირები იყვნენ უფრო მეტად რადიკალიზირებულნი და ჰქონდეთ ახალი თავდასხმის მოწყობის სურვილი. ალ კაიდასა და 9/11-ის ერაში ტერორისტების უმეტესობა სამუდამო სასჯელს იღებდა, თუმცაღა დღეს ეს უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა და სახელმწიფოს მხრიდან დამატებით ყურადღებას მოითხოვს.

2021 წლის 6 იანვრის მოვლენებმა კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ აშშ-ში საშინაო რადიკალიზაციის რისკი ძლიერია. ამ კუთხით საყურადღებოა, რომ აშშ-ს არ აქვს წესდება საშინაო ტერორიზმზე. აღნიშნულ ტერმინს გამოძიების ფედერალური ბიურო შემდეგნაირად განმარტავს: „ ... სამოქალაქო მოსახლეობის დაშინების ან იძულების აქტი სახელმწიფოს პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის მიზნით“; ასევე ეს არის მთავრობის ქცევაზე გავლენის მოხდენის მიზნით განხორციელებული ქმედება მასობრივი ნგრევის, მკვლელობის ან მოტაცების გზით. ამ განმარტების ელემენტებს თუკი გავითვალისწინებთ, ვიპოვით აშკარა პარალელებს საშინაო ტერორიზმსა და 6 იანვარს განვითარებულ მოვლენებს შორის. თუმცაღა, ტერმინი „აჯანყება“, შესაძლოა, უფრო მეტად ჯდებოდეს კონტექსტში და შეესაბამებოდეს ამერიკულ საზოგადოებაში დღეისთვის არსებულ დაყოფილ მდგომარეობას. იმ ფონზე, როდესაც აშშ-ში 6 იანვრის პოლიტიკურად მოტივირებული ადამიანების ჯგუფს ჯერ კიდევ უამრავი მხარდამჭერი ჰყავს, ხოლო თავად სახელმწიფოს არ აქვს საშინაო ტერორიზმის შესახებ წესდება, აღნიშნული ქმდების კვალიფიცირება ტერორიზმად, შესაძლოა დაემსგავსოს კონტრ-ტერორისტული კანონმდებლობის გამოყენებას პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ. ეს, საბოლოო ჯამში, გამოიწვევს მხარდამჭერების კიდევ უფრო რადიკალიზაციას. ამას გარდა, 6 იანვრის მოვლენებმა გვაჩვენა, რომ საჭიროა მეტი კონცენტრირება მასობრივ სროლებს, ონლაინ შევიწროებასა და ექსტრემიზმს შორის კავშირებზე, რამდენადაც მესიჯები და ინფორმაცია დაგეგმილ ქმედებებზე ადრევე ვრცელდებოდა, თუმცაღა ამას არ მოჰყვა შესაბამისი რეაგირება უსაფრთხოების სერვისებისგან.

აშშ-ს საშინაო უსაფრთხოების დეპარტამენტმა თეთრი სუპრემატიზმი ყველაზე ლეტარულ საფრთხედ გამოაცხადა. თუმცაღა, რადიკალიზაცია გვხვდება, როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა სპექტრზე. მარცხენა სპექტრში უკიდურეს რადიკალიზაციასთან დაკავშირებით ხშირად განიხილავენ „ანტიფა“-ს მაგალითს. ანტიფა არ არის ვერტიკალური სტრუქტურის მქონე ჯგუფი, რომელიც შეიძლება ტერორისტულ ორგანიზაციად შეფასდეს. ეს მეტად ფრაქცირებული

მოძრაობაა, მაგრამ ამის გამო არ უნდა უარვყოთ ის პოტენციური საფრთხე, რომელსაც აღნიშნული ჯგუფი ატარებს. რისკების შეფასებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია რადიკალიზაციის ყველა სახესა და რეკრუტირების გზებზე ფოკუსირება, განსაკუთრებით კი სოციალური მედიით რეკრუტირებაზე. ამ კუთხით უალტერნატივოა საზოგადოების ცოდნის გაღრმავება მედიაწიგნიერებისა და დეზინფორმაციის ამოცნობის მხრივ. ამასთან, საჭიროა ონლაინ პროპაგანდასა და რეკრუტირებასთან გასამკლავებლად საერთო სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სიტყვის თავისუფლების უფლება. შეიძლება ითქვას, ბაიდენის ადმინისტრაციის კიდევ ერთი პოტენციური გამოწვევა სწორედ ცენტრალიზებული მიდგომისა და სტრატეგიის შექმნა იქნება ონლაინ-რადიკალიზაციასთან და რეკრუტირებასთან დაკავშირებით. ამჟამად, აღნიშნულ ქმედებაზე პასუხისმგებელი, როგორც წესი, ძალოვანი სტრუქტურები და კერძო კომპანიები არიან. TWITTER-ს და FACEBOOK-ს ჰყავთ კვლევითი ჯგუფები, რომლებიც სპეციალიზირდებიან ექსტრემიზმისა და ტერორიზმის პრევენციაში.

ტერორიზმის ბუნებიდან გამომდინარე, წინასწარ რთულია, თუ არა შეუძლებელი, ვივარაუდოთ, თუ სად გაჩნდება საფრთხის ახალი კერა. თუმცაღა, სირია და ერაყი ცხელ წერტილებად რჩებიან, ხოლო ლიბიაში გვაქვს მნიშვნელოვანი გამოწვევები. საგულისხმოა, რომ მთიან ყარაბაღშიც იყვნენ უცხოელი მებრძოლები სირიის ტერიტორიიდან. უკრაინა რჩება განსხვავებულ შემთხვევად, თუმცა აქაც შეიმჩნევა ულტრამემარჯვენე ჯგუფების აქტივობა. საგულისხმოა ავღანეთი, ალჟირი, ტაჯიკეთი და ჩეჩნეთიც.

ცხელ წერტილებთან მიმართებით ასევე საინტერესოა იმის განხილვაც, თუ რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში საერთაშორისო კონტრტერორისტული ძალისხმევის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. ტრამპის პრეზიდენტობისას ობამას ადმინისტრაციის მიერ მხარდაჭერილი გლობალური კოალიცია დაეშის წინააღმდეგ შესუსტდა. ამის მიზეზი იყო არამხოლოდ სამთავრობო გადაწყვეტილება, არამედ საზოგადოებაც, რომელიც დაიღალა 2001 წლიდან ტერორიზმთან ომში მუდმივი ჩართულობით. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ გონივრული იქნებოდა აშშ-ს ყოფნის შენარჩუნება ავღანეთსა და სირიაში, მიღწეული გამარჯვებების კონსოლიდაციისთვის და იმის დასამტკიცებლად, რომ აშშ მშვიდობის ერთგულია, მაინც ვხვდებით წინააღმდეგობას ამ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ, ამ ორი პოლუსის დარეგულირება და ოსტატურად მოქმედება ბაიდენის ადმინისტრაციისთვის გამოწვევა იქნება. შესაძლოა ვიხილოთ ცვლილებები, თუმცა ეს ცვლილებები იქნება არაპოპულარული.

მას შემდეგ, რაც ტრამპის ადმინისტრაციამ მიატოვა ქურთები, ბაიდენის ადმინისტრაციას ახალი გამოწვევა გაუჩნდა მოკავშირე PKK და YPG-ს მიზნად ამოღების საფრთხის სახით. სამწუხაროდ, აშშ-ს სააგენტოებს შორის ყოველთვის შეინიშნებოდა ისეთი ჩავარდნები, როგორიცაა, მაგალითად, ის, რომ გამოძიების ფედერალურ ბიუროს არ მოსწონს ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოსთან დიალოგი. მაგრამ, ამ კუთხით აუცილებელია ნიუანსური მიდგომა, რომელიც ყურადღებას გაამახვილებს სწორედ მთავრობის სხვადასხვა სააგენტოს ძალისხმევის გაერთიანებასა და სტაბილურ და ხარისხიან კონსოლიდაციაზე.

ბოლოს, აქ განხილულ თემებთან დაკავშირებით მკითხველისთვის საინტერესო იქნება შემდეგი ლიტერატურის გაცნობა: თომას ჰეგჰამერის „ქარავანი: აბდულაჰ აზამი და გლობალური ჯიჰადის აღზევება“ და ჯულია ებნერის „მრისხანება: ისლამისტური და ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის მანკიერი წრე“. ამასთან, ნიდერლანდების სამეფოს კონტრტერორისტულ ცენტრს მდიდარი ონლაინ ბიბლიოთეკა აქვს, რომელიც მოიცავს ტერორიზმთან და ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ ნაშრომებსა და ანგარიშებს.

მომხსენებლის მიერ რეკომენდირებული ლიტერატურა:

ჰეგჰამერი, თ. (2020). ქარავანი: აბდულაჰ აზამი და გლობალური ჯიჰადის აღზევება. კემბრიჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ებნერი, ჯ. (2017). მრისხანება: ისლამისტური და ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის მანკიერი წრე. ლონდონი: ბლუმსბერის გამომცემლობა.

ედვარდ დენმარკი

დოქტორი ედვარდ დენმარკი გახლავთ ჰარვარდის პოლიციის უფროსი აშშ-ს შტატ მასაჩუსეტსში. მისი პოლიციაში მუშაობის 29 წლიანი გამოცდილება მოიცავს ინსტრუქტორის, ტრენერის და სამართლებრივ საკითხებზე კონსულტანტის პოზიციებს, როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე. გარდა საპოლიციო საქმიანობისა, ედვარდი კითხულობს ლექციებს სამართლიან და მიუკერძოებელ საპოლიციო მუშაობაზე, საპროცესო სამართალსა და დეესკალაციის ტექნიკებზე. ის არის ასოცირებული პროფესორი ფიჩბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კლარკის უნივერსიტეტში, რომლებშიც ედვარდი უკითხავს ლექციებს მაგისტრის სტუდენტებს კრიმინალურ სამართალსა და საჯარო ადმინისტრირებაზე. ედვარდს თავისი წვლილი შეაქვს საქართველოში მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის დანერგვაში, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებაზე ორიენტირებულ პოლიციას და მიზნად ისახავს დანაშაულის პრევენციის ხელშეწყობას.

დისკუსიის ჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://youtu.be/Tgnhdoy0tFI

დემოკრატიული სახელმწიფოები ორი ფუნდამენტური ვალდებულების წინაშე დგანან: მოქალაქეების უსაფრთხოების გარანტირება და ადამიანთა უფლებების დაცვა, რა თქმა უნდა, უსაფრთხოებასთან ერთად. დღესდღეობით, შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი თანამედროვე დემოკრატია ერთგვარ იდენტობის კრიზისს განიცდის და მათი ფუნდამენტური ღირებულებები გამოწვევების წინაშე დგას. ერთ-ერთი ასეთი ყველაზე დიდი გამოწვევა კი ექსტრემიზმის საფრთხეა. თავის მხრივ, ექსტრემიზმს აქვს, როგორც იდეოლოგიური კომპონენტი, რწმენის სისტემა, ისე ქცევითი კომპონენტი, ანუ ის ქმედებები, რომლებსაც ადამიანები საკუთარი იდეოლოგიის მხარდასაჭერად ან გასაძლიერებლად ახორციელებენ. სწორედ ამ ქმედებების ძალადობრივ ესკალაციას ვუწოდებთ შემდგომში ექსტრემიზმს ან ტერორიზმს. ამ ესკალაციის თავიდან აცილების ტვირთი სამართალდამცავ ორგანოებს აწევთ, შესაბამისად, მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ იმ გამოწვევებზე, რომლის წინაშეც სამართალდამცავი ორგანოები დგანან დემოკრატიულ სახელმწიფოებში, რამდენადაც სწორედ მათ უწევთ უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და მოქალაქეების უფლებების დაცვას შორის არსებულ „ბეწვის ხიდზე“ გავლა. თუმცაღა, ამ საკითხის განხილვამდე უნდა აღვწეროთ დემოკრატიული სახელმწიფოების წინაშე არსებული ექსტრემიზმისა და ტერორიზმის ძირითადი საფრთხეები.

როგორც უკვე ვახსენეთ, მთავრობას აქვს პასუხისმგებლობა, იმოქმედოს ადამიანების დაცვის მიზნით. თავის მხრივ, მოქალაქეებსაც აქვთ ამ მოქმედების მოლოდინი. პრობლემას ვაწყდებით მაშინ, როდესაც თანამედროვე ჰეტეროგენულ საზოგადოებებში ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი და სხვა ტიპის მრავალფეროვნების ელემენტების გაჩენასთან ერთად, მთავრობის რეაქცია მსოფლმხედველობრივი ღირებულებების მიხედვით სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას აღქმული.

დღესდღეობით, თანამედროვე დემოკრატიები დგანან, როგორც ე.წ „ძირითადი ეჭვმიტანილებიდან“, ისე ახალი, ექსტრემისტული მოძრაობებიდან მომდინარე სპეციფიკური საფრთხეების წინაშე. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საშინაო ტერორიზმი ნომერ პირველ საფრთხედ აღიარა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული პრობლემა დიდი ხანია არსებობს, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო, დიდი დრო დაგვჭირდა იდენტიფიცირებისთვის და იმ ფაქტის გაცნობიერებისთვის, რომ ტერორისტულ თავდასხმათა აბსოლუტური უმეტესობა საშინაო ტერორისტულ აქტს წარმოადგენს. ამ პრობლემების გამომწვევი ზოგადი მიზეზები, საწყისები, ჩვენთვის უცნობია, რადგან ადამიანები ასე იქცევიან საკუთარი ნეგატიური გამოცდილებიდან და მდგომარეობიდან გამომდინარე. ამას განაპირობებს რწმენა, რომ ხელისუფლება მათ გარკვეული ფორმით დისკრიმინაციას ახდენს და უგულებელყოფს მათ ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ჩვენ ვიხილეთ ტრადიციული მოთამაშეების ნგრევა. მაგალითად ალ-კაიდა ისევ არსებობს, მაგრამ მისი ცენტრალიზებული ბუნება და ხელმძღვანელობა ჩამოშლილია, შესაბამისად, ჩვენ ვერ ვხედავთ ადრინდელივით ორგანიზებულ და დაგეგმილ თავდასხმებს. ამ ორგანიზაციების ჩამოშლის წარმატებულმა გამოცდილებამ მოგვცა საშუალება, დავინახოთ, თუ როგორ შეიძლება ვუპასუხოთ „მარტოხელა მგლებისა“ და მცირე ჯგუფების თავდასხმებს. რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელებმა სულ სხვა ახალი პრობლემების წინაშე დაგვაყენეს, რადგან მათი გამოვლენა და ინტერვენცია მეტად რთულია. ტრადიციულ ორგანიზაციებს ჰქონდათ განსაზღვრული დაგეგმარების ციკლი, რომელსაც ჩვენ მივდევდით და შეგვეძლო აღმოჩენა სამიზნის არჩევის, „რეპერიციების“ მარაგების შევსების მიხედვით. ამ დაგეგმარების ეტაპების ყოველი გადაკვეთა პოლიციას და უსაფრთხოების ძალებს ხელს უწყობდა, ჩარეულიყვნენ და შეეჩერებინათ ინციდენტები. მაგრამ, როდესაც საქმე ეხება „მარტოხელა მგლებს“ და მცირე, არააფილირებულ ჯგუფებს, მათ შეიძლება არ ჰქონდეთ დაგეგმარების ასეთი ციკლი, ასევე მათი მესიჯები არ ვრცელდება ადამიანების დიდ ჯგუფებში, რაც საშუალებას მოგვცემდა ჩარევისა და ინციდენტების შეჩერების. ამიტომაა მნიშვნელოვანი, რომ ამ პროცესს არ შევხედოთ ინტერვენციის ასპექტიდან, არამედ უნდა შევარჩიოთ მეტად პრევენციული მიდგომა. უფრო მარტივია თავდასხმების პრევენცია, როდესაც გვესმის წუხილების ძირეული გამომწვევი მიზეზები და ის, თუ როგორ დავამყაროთ კარგი ურთიერთობა უსაფრთხოების ძალებსა და იმ მოქალაქეებს შორის, რომლებიც, შესაძლოა, არასწორად აღიქვამენ, იმას, თუ როგორ ექცევიან საკუთარ ქვეყნებში. მნიშვნელოვანია თითოეული ჯგუფისა და მოძრაობის წუხილისა და საჩივრის ანალიზი, რამდენადაც სწორედ ამ წუხილების ირგვლივ შენდება ნარატივი და ამ გზით ხდება მანიპულაციაც.

21-ე საუკუნეში ინტერნეტი წარმოადგენს პლატფორმას ისეთი იდეების მობილიზაციისთვის, რომლებიც, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში და შეთქმულების თეორიების ეპოქაში, შეიძლება მანიპულირების იარაღად იქცეს გარკვეული ჯგუფების სასარგებლოდ. ინტერნეტი ხელს უწყობს ცრუ ინფორმაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმისტული იდეოლოგიების გავრცელებას. ინტერნეტის ამხელა გავლენას განაპირობებს ფაქტი, რომ ადამიანებს ერთი ფუნდამენტური თვითგადარჩენის ინსტინქტი გვამოძრავებს. ინტერნეტმა მოგვცა ვირტუალური უსაფრთხო ადგილი, სადაც ადამიანს შეუძლიათ საერთო ღირებულებების გაზიარება კამათისა და ჩხუბის, თავდასხმების გარეშე და გარშემორტყმულია თანამოაზრეებისა და მხარდამჭერების მიერ.

სამართალდამცავი ორგანოების ტრადიციული როლი ძალადობრივ ექსტრემიზმთან და ტერორიზმთან გამკლავების კუთხით, ძირითადად ეხებოდა პასუხს, ანუ უკვე ნახსენებ დაგეგმარების ციკლს, თუ როგორ უნდა შეგვეღწია მასში და გამოგვეძიებინა, როგორ გამოგვეყენებინა სამართალდამცავი, დაზვერვისა და გამოძიების ტექნიკები ამ ჯგუფების დაშლისა და შეჩერებისთვის. თუმცაღა, დროთა განმავლობაში გამოჩნდა ამ მოდელის არაეფექტურობა, რამდენადაც, საბოლოო ჯამში, მუდმივი დევნის პროცესში ვიყავით. ახალი საგამოძიებო საშუალებების განვითარებასთან ერთად, ეს ჯგუფებიც ავითარებდნენ უკეთესს გზებს გამოვლენის თავიდან ასაცილებლად. შედეგად, ჩვენ კარგად ვისწავლეთ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ინციდენტის შემდეგ სიტუაციის ნორმალიზების, სტაბილურობისა და ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის დაბრუნების მხრივ. თუმცაღა ეს არ აღმოფხვრიდა თავდასხმის მიერ საზოგადოებაზე მიყენებულ ფსიქიკურ ზიანს. ძალადობრივი ექსტრემის-ტების მიზანია საზოგადოებაში შიშის დათესვა. შესაბამისად, ის, რისი გაკეთებისკენაც სამართალ-დამცავი ორგანოები უნდა ისწრაფოდნენ, არის საზოგადოებრივი პოლიციის ძირითადი პრინციპების დანერგვა და ძალადობრივი ექსტრემიზმის ჩვეულებრივ კრიმინალურ პრობლემად აღქმა. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს, მოვახდინოთ პრობლემის იდენტიფიცირება, დავადგინოთ მისი გამომწვევი ფუნდამენტური მიზეზები და შევიმუშაოთ მის გადაჭრაზე ორიენტირებული პრაქტიკული პოლიტიკა. რიგ შემთხვევებში, მიზეზი შეიძლება იყოს ემოციური რეაქცია ცრუ ინფორმაციაზეც. ამ მხრივ დიდია პოლიციის როლი, რომელმაც ადგილობრივ დონეზე უნდა ისაუბროს ადამიანებთან, ჩამოაყალიბოს ურთიერთობები, მოიპოვოს ნდობა და გაფანტოს დეზინფორმაცია. მნიშვნელოვანია, რომ არ უგულებელვყოთ ადამიანების პრობლემები და არ მივცეთ ამ გრძნობებსა და ემოციებს დაგროვების და ბრაზის დონემდე მიღწევის საშუალება, რამდენადაც ბრაზიდან ძალადობამდე არც თუ ისე დიდი ნაბიჯია გადასადგმელი. საგულისხმოა, რომ ძალადობრივი ექსტრემიზმით გამოწვეული პრობლემები მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სამთავრობო უწყებებისთვის.

11 სექტემბრის ტერაქტმა ნათლად დაგვანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სამართალდამცავ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაზიარება და ეფექტიანი მექანიზმის ქონა. ამის შემდგომ, აშშ-ში შევიმუშავეთ ე.წ შერწყმის ცენტრები, სადაც სამართალდამცავი სააგენტოები აზიარებენ ინფორმაციას, გვაქვს ერთობლივი დანიშნულების ჯგუფები ტერორიზმის სფეროში. ჯერ კიდევ ვართ იმ პროცესში, როდესაც ვარკვევთ, თუ ვის რა სახის ინფორმაციაზე აქვს წვდომის უფლება. ცხადია, რაც უფრო მეტ ადამიანს აქვს ინფორმაცია, მისი გაჟონვის შანსიც მეტია და ამან შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს გამოძიებაზე. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ გავიწაფეთ ინფორმაციის გაზიარებაში. უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი შეცდომა, რომელიც სამართალდამცავმა ორგანოებმა დასაწყისშივე დავუშვით იყო პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურების მცდელობა, შეეღწიათ ექსტრემისტულ და ტერორისტულ ჯგუფებში მათი ჩივილების მოსმენისა და ურთიერთობების ჩამოყალიბების საფარქვეშ, მაგრამ, რეალურად, ინფორმატორების კულტივირების მიზნით. დროთა განმავლობაში ვისწავლეთ, რომ ეს არასწორი და კონტრპროდუქტიული მიდგომა იყო. პოლიცია უნდა გამოიყენებოდეს ნდობის შენებისთვის და ნდობით აღჭურვილი პირის გამოაშკარავების მხოლოდ ერთი შემთხვევაც საკმარისია იმისთვის, რომ დავკარგოთ ამ მნიშვნელოვანი ურთიერთობებისა და საუბრების შესაძლებლობა.

საზოგადოებრივ პოლიციას სამი ძირითადი კომპონენტი აქვს. პირველი თანამშრომლობის ჩამოყალიბებაა. ეს ნამდვილი თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და პრობლემების იდენტიფიცირებას გულისხმობს და არა ადამიანების გამოყენებას ინფორმაციის მიღების მიზნით. მეორე მთავარი კომპონენტია მოსმენა, რადგან ადამიანების რეალურად გაცნობისა და სიღრმისეული საუბრების გარეშე, ვერ მოვახერხებთ დავინახოთ პრობლემების რეალური მიზეზები. ბოლო ძირითად კომპონენტს პრობლემების გადაჭრა წარმოადგენს. რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემისტული ქმედებების პრევენციის მიმართულებით

წარმატების კარგ საზომია საზოგადოების დამოკიდებულება პოლიციის მიმართ, რომლის გაზომვაც შესაძლებელია გამოკითხვებით, პოლიციის თანამშრომლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობაზე დაკვირვებით. საგულისხმოა ასევე საზოგადოების წევრებს შორის პოლიციის თანამშრომლებზე საუბრებსა და მათ მიერ გამოყენებულ ლინგვისტურ ტენდენციებზე დაკვირვება. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი პოლიციის მიზანი არის მცდელობა იმისა, რომ მოახერხოს, ერთი მხრივ, კონკრეტული ჯგუფის, თემის ჰუმანიზაცია დანარჩენი საზოგადოებისა და უსაფრთხოების ძალების თვალში, მეორე მხრივ კი, პოლიციისა და უსაფრთხოების ძალების ჰუმანიზაცია საზოგადოების თვალში, შედეგად კი შექმნას ნდობა, რომელიც უზრუნველყოფს უკეთეს ურთიერთგაგებასა და უფრო ჯანსაღი სოციუმის ჩამოყალიბებას.

საზოგადოებებში, რომლებიც გამოირჩევიან ისტორიული უნდობლობით სამართალდამცავი ორგანოებისადმი, მაგალითად, საქართველოში, რომელიც 70 წლის განმავლობაში იყო საბჭოთა კავშირის წევრი, განსაკუთრებით ეფექტურია საზოგადოებრივი პოლიციის როლი ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან მიმართებით. ადამიანები ხშირად ყურადღებას აღარ აქცევენ იმას, რომ პოლიცია არის მთავრობა. შესაბამისად, თუ მოქალაქეები არ ენდობიან პოლიციას, ეს ნიშნავს, რომ ისინი არ ენდობიან მთავრობას, რომელიც მათ უნდა იცავდეს. შეუძლებელია გქონდეთ ჯანსაღი საზოგადოება, თუ ადამიანები არ ენდობიან მთავრობას და პოლიციას. სწორედ ამიტომ, გაზიარებული, საერთო ღირებულებების აღიარება არის ურთიერთობებისა და ნდობის ჩამოყალიბების ფუნდამენტი.

იმ ადამიანთან ურთიერთობის დროს, რომელიც, შესაძლოა, ჩართული იყოს რადიკალიზაციის პროცესში, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ემპათიის ჩვენება. ადამიანის გრძნობების გააზრება არის ნდობის შექმნის პირველი ნაბიჯი, მისი გადარწმუნების მცდელობით ჩვენ ხელს ვუშლით დიალოგის დაწყებას. მას შემდეგ, რაც ეს ადამიანი დაინახავს, რომ მისი გესმით და მასზე ზრუნავთ, შეიძლება დაიწყოთ ორმხრივი დიალოგის პროცესიც, რომლის დროსაც შესაძლებელია მის ქცევებზე გავლენის მოხდენა. რადიკალიზაციის ბუნებიდან გამომდინარე, ხშირად ადამიანები იზიარებენ იმ წარუმატებელი გამოცდილების შედეგად დატოვებულ შეგრძნებებს, რომლებიც თავად სულაც არ გადახდენიათ თავს, რაც ასევე შეიძლება გამოვიყენოთ დიალოგის დროს.

რადიკალიზაციის პრევენციისა და მასთან გამკლავების პროცესში ასევე მნიშვნელოვანია მრავალსექტორული მიდგომა. სხვა სააგენტოების ჩართულობის მხრივ აღსანიშნავია, რომ ბევრ ქვეყანაში ზედმეტად ეყრდნობიან სამართალდამცავ სექტორს, რადგან რადიკალიზაციის პრევენცია მიიჩნევა ეროვნული უსაფრთხოების პრობლემად. თუმცა, საჭიროა იმის გაცნობიერება, რომ არსებობს სამოქალაქო საზოგადოების სექტორებიც, რომლებიც უკეთესადაა მომზადებული ძირითადი წუხილებისა და ჩივილების ზოგიერთ გამომწვევ ძირეულ მიზეზთან გასამკლავებლად.

ბოლოს, განხილულ საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაცია „საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის სამსახურის განსაზღვრის შესახებ“. პუბლიკაციაში საუბარია ეფექტიანი მუშაობის 5 ძირითად პრინციპზე სამართალდამცავი ორგანოებისთვის. კიდევ ერთი კარგი წყაროა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციის აღმასრულებელი კვლევითი ფორუმი, რომელიც პერიოდულად აქვეყნებს ანგარიშებს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

მომხსენებლის მიერ რეკომენდირებული ლიტერატურა:

ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტი (n,d). საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის სამსახურის განსაზღვრების შესახებ.

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციის აღმასრულებელი კვლევით ფორუმი (n,d). ყოველდღიური მწვავე პრობლემების ანგარიში.

უილიამ ბ. ფარელი

2021 წლიდან, დოქტორი უილიამ ბ. ფარელი საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის მრჩეველთა საბჭოს წევრია. დოქტორი ფარელი მეინის უნივერსიტეტის პოლიტიკისა და სართაშორისო ურთიერთობების სკოლის პროფესორია. ასევე, ის მთავარი კონსულტანტია მენის Swordfish Consulting International, LLC-ში. მისი სამუშაო გამოცდილება 25 წელზე მეტ ხანს მოიცავს აშშ-ს მთავრობასა და აღმასრულებელ ორგანიზაციებში, საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია Mercy Corps-ში, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში და სხვა. დოქტორმა ფარელმა, პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, დოქტორის ხარისხი მენის უნივერსიტეტში მიიღო. მანამდე, ფლეტჩერის სამართლისა და დიპლომატიის სკოლაში მაგისტრის წოდება მოიპოვა, ხოლო ტაფტის უნივერსიტეტში წარმატებით დაასრულა ბაკალავრიატი.

დისკუსიის ჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://youtu.be/j4qbPCKq3vo

ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიების ჩამოყალიბებისა და ძალადობრივი ექსტრემისტული ორგანიზაციების მხრიდან რადიკალიზებული პირების საკითხის განსახილველად, თავდაპირველად, მნიშვნელოვანია განვმარტოთ, თუ როგორ გვესმის თავად იდეოლოგიები და მათი ჩამოყალიბების პროცესი.

ბოლო დროს, იდეოლოგიებმა ნეგატიური მნიშვნელობა შეიძინეს. თუმცაღა, შეიძლება ითქვას, იდეოლოგია, თავისთავად, უვნებელი კონცეფციაა, საფუძველში ის არც ცუდია და არც - კარგი, სუბიექტურია მის ინტერპრეტაციებში. იდეოლოგია შეიძლება აღვიქვათ, როგორც რწმენათა და თეორიათა სისტემა, ძირითადად პოლიტიკისა და კულტურის შესახებ, რომელიც გაზიარებულია ინდივიდის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ. საგულისხმოა, რომ ეს რწმენები, შესაძლოა, იყოს ორგანიზაციების შემაკავშირებელი ძალაც. თუ განვიხილავთ იდეოლოგიას, როგორც ფუნდამენტს, რომელსაც ნეგატიური ასპექტებიც ემატება, პირველ რიგში, უნდა ვიგულისხმოთ რადიკალიზაციის კონცეფცია. ეს უკანასკნელი წარმოადგენს პროცესს, რომლის დროსაც ინდივიდი იზიარებს რადიკალურ პოლიტიკურ, რელიგიურ და სოციალურ რწმენებს. შემდგომში ამას ემატება ჯგუფური აზროვნების ასპექტი, როდესაც ადამიანები ჯგუფში განსხვავებული აზრის გამოხატვას წყვეტენ მარტივად იმის გამო, რომ სურთ ჯგუფში მიღებულნი იყვნენ. ასევე კიდევ ერთი ფენაა შიდა ჯგუფებისა და გარე ჯგუფების მიკერძოების ფენომენი, რაც გულისხმობს, რომ კონკრეტული იდეოლოგიის მხარდამჭერნი ჯგუფის ნაწილნი არიან, მაგრამ ჯგუფს გარეთ მყოფი ხალხი პოტენციურ საფრთხედ აღიქმება. ამ ყველაფერს მივყავართ მომენტამდე, როდესაც ინდივიდი ან ჯგუფი თვლის, რომ ძალადობა არის ერთადერთი არსებული გზა მათი იდეოლოგიის სხვების მიერ გასაცნობიერებლად. შემდგომში, ეს ადამიანები თავს უდანაშაულოდ თვლიან ძალადობის პროცესში, რადგან ჯგუფი ამ ქმედებებს იწონებს, რასაც მივყავართ პასუხისმგებლობის გაფანტვამდე. კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანები, რომლებიც მიეკუთვნებიან ჯგუფებს, უფრო ხშირად იწყებენ რადიკალური მოსაზრებების გაზიარებას. შესაბამისად, იდეოლოგიის მიერ დღეს შეძენილი ნეგატიური მნიშვნელობა რეალურად წარმოადგენს რადიკალიზაციის, ჯგუფურ აზროვნების, შიდა და გარე ჯგუფების დინამიკისა და ძალადობის ერთადერთ არსებულ გზად აღქმის კომბინაციის შედეგს.

ძალადობრივი ექსტრემიზმის სფეროში სამომავლო ძალისხმევის რეალურად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია თავად ტერმინის - ძალადობრივი ექსტრემიზმი, განმარტება. პოლიტიკური ძალადობის სფეროებში ხშირად რთულია ტერმინოლოგიის განმარტება და ამ მხრივ არც ძალადობრივი ექსტრემიზმია გამონაკლისი. ეს ტერმინი გაჩნდა 2015 წელს თეთრი სახლის ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების წინა პერიოდში და ფორმის მიღება ობამას ადმინისტრაციის დროს დაიწყო, მანამდე მას არ ჰქონდა ფართო გამოყენება და არც დღესაა საყოველთაოდ მიღებული. ტერმინი გავრცელებულია აშშ-ში, ზოგიერთ დასავლურ ქვეყანაში, მრავალმხრივ ორგანიზაციებში, როგორიცაა გაერო და ამ აქტორების პარტნიორ ქვეყნებში. თუმცაღა, ტერორიზმი ისევ რჩება საერთო ტერმინად. ძალადობრივი ექსტრემიზმის ტერმინოლოგიის დანერგვა მიზნად ისახავდა ადამიანების გონებაში ტერორიზმსა და ჯიჰადს, უფრო ფართოდ, ისლამს, შორის კავშირის გაწყვეტას. ტერორიზმისგან განსხვავებით, ძალადობრივ ექსტრემიზმს, როგორც ახალ კონცეპტს, შეეძლო ყოველი შესაძლებელი ექსტრემისტული შეხედულებების დაფარვა.

ტერორიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმი ორივე სადაო ტერმინია და ამ თემასთან დაკავშირებით განსხვავებული შეხედულებები არსებობს, მათ შორის, პრაქტიკოსებს შორის. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ის, თუ როგორ განვმარტავთ პრობლემას, გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ გავუმკლავდებით მას. მაშინ, როდესაც ტერორიზმი ვიწრო განმარტებაა, ძალადობრივი ექსტრემიზმი პრობლემის მთლიანობაში და არა მხოლოდ ახლანდელი გამოხატულების, მოცვის საშუალებას გვაძლევს. ძალადობრივი ფენომენის მანიფესტაციის უმეტესობა, დღესდღეობით, გამართლებულია რელიგიური მოტივებით. ტერორიზმის კონცეფცია, როგორც უკვე ვახსენეთ, საზოგადოებრივ გონებაში უკვე გაიგივებულია ჯიჰადთან, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შესაძლებელი პერსპექტივაა, რომელსაც წვლილი შეაქვს ამ ფენომენში. თავის მხრივ, ტერმინოლოგია უნდა იყოს მეტად ინკლუზიური იმ ზოგადი ქცევის მიმართ, რომელიც ქმნის ან ხელს უწყობს ძალადობას და იმ რწმენების მიმართ, რომელიც ამართლებს ასეთ ქცევას. შეჯამების სახით, ტერორიზმი კონკრეტული ტერორისტების არასამართლებრივი ინტერესების გამო სხვადასხვა ტიპის ძალადობით ცდილობს მოქალაქეების დაშინებას ან იძულებას, რაც მიმართულია იმისკენ, რომ გავლენა იქონიონ პოლიტიკასა და მთავრობის ქცევის ცვლილებაზე. ძალადობრივ ექსტრემიზმს გარდა იმისა, რომ აქვს ტერორიზმის ყველა ელემენტი, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით ითვალისწინებს იდეოლოგიურ მოტივაციასაც ამ ქმედებების განხორციელების უკან. ამიტომ, თუკი ტერო-

რიზმთან დაპირისპირება რთულია, რადგანაც არ გვესმის მისი რაციონალური საფუძველი, ძალადობრივი ექსტრემიზმი გვთავაზობს ერთგვარ იდეოლოგიურ რუკას, რომელიც მეტად განსაზღვრავს ამ გამოწვევის პრევენციული მიდგომებით მოგვარების გზებს.

მნიშვნელოვანია ექსტრემისტული იდეოლოგიის ჩამოყალიბების ციკლისა და მისი აუცილებელი კომპონენტების განხილვა. ძალადობრივი ექსტრემისტული იდეოლოგიის კონსტრუქციის ფორმულირება გამოწვევაა, რამდენადაც ეს მოიაზრებს სწორხაზოვნებას, მაგრამ, რეალურად, პროცესი არა სწორხაზოვანი, არამედ საკმაოდ ცვალებადია. ბოლო წლების განმავლობაში, მრავალი მოდელი იყენებდა საერთო ელემენტების ნაკრებს. რენდი ბორუმმა, სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტიდან მოახერხა ამ მოდელირების სინთეზირება ოთხ-საფეხურიან პროცესად, რომელიც საფუძვლად უდევს ძალადობის ნორმალიზებას. იგი საუბრობს უკმაყოფილებაზე, წუხილებზე. არიან ჯგუფები, რომლებიც უკმაყოფილონი არიან რაღაცით, კონკრეტულ სიტუაციებს აღიქვამენ მათდამი უსამართლოდ. ისინი შედარებით განსხვავდებიან საზოგადოებაში არსებული სხვა ჯგუფებისგან, რაც ქმნის შედარებითი დეპრივაციის, სამართლიანობის ნაკლებობის განცდას. შემდეგ ჩნდება ამ პრობლემების ვიღაცაზე გადაბრალების საჭიროება და ყველაფერს მიაწერენ სხვა ჯგუფებს. ამ დაბრალების პროცესის საბოლოო ნაბიჯია სხვა ჯგუფის გაუფასურება, დეჰუმანიზაცია და დემონიზაცია. ადამიანებს გვაქვს სოციალური კატეგორიების შექმნისკენ მიდრეკილება, მსოფლიოს წარმოვიდგენთ ისე, თითქოს არსებობს შიდა ჯგუფი (ჩვენ) და გარე ჯგუფი (ისინი). ხშირად ვცდილობთ გამოვჩნდეთ გარე ჯგუფზე უკეთესი, ან საზოგადოებაში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე პასუხისმგებლობა მათ დავაკისროთ. ძალადობრივი ექსტრემისტული ორგანიზაციებიც სწორედ ადამიანური ქცევის ამ ფორმაზე აგებენ კაპიტალს განსხვავებების აღქმაზე აქცენტის გაკეთებით. შესაბამისად, ისინი წარმოაჩენენ გარე ჯგუფს უკმაყოფილების წყაროდ და საფრთხედ შიდა ჯგუფისთვის. საბოლოოდ, შიდა ჯგუფს ეძლევა თავიანთი ქცევის, რომელიც მიზნად ისახავს სამართლიანობის დამყარებას გამართლებისა და წახალისების საშუალება. იმისთვის, რომ შიდა ჯგუფმა წარმატებას მიაღწიოს, გარე ჯგუფი უნდა გაუფასურდეს. ამის შემდგომ, მარტივი ხდება გარე ჯგუფის წინააღმდეგ ძალადობის გამართლება, იმიტომ, რომ სამყარო უკეთესი იქნება მათ გარეშე.

ერთ-ერთი რამ, რაც ექსტრემისტულ და ტერორისტულ ორგანიზაციებს კარგად გამოსდით, არის ახალ გამოწვევებთან ადაპტირება. ადამიანების გადაბირებასთან დაკავშირებით, საინტერესოა, რომ ტერმინ რეკრუტირების გამოყენებისას ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ადამიანზე მანიპულირებენ. მაგრამ, ასევე არიან ადამიანები, რომლებიც გააზრებულად და აქტიურად წყვეტენ, რომ ჩაერთონ ძალადობრივ ექსტრემისტულ ქმედებებში სხვადასხვა მიზეზის გამო. რასაც უფრო და უფრო ხშირად ვხედავთ კორონამდელ და კორონას პერიოდში არის ის, რომ არ არსებობს განსაზღვრული გზა ექსტრემიზმისკენ, ისევე, როგორც არ არსებობს ძალადობრივი ექსტრემიზმის მუდმივი პროფილი. რაც იკვეთება, არის ელემენტების ნაკრები, რომლებიც იწვევს ხალხს, რომ ჩაერთონ ძალადობრივ ექსტრემიზმში, ეხება მათ პირად ინტერესებსა და პირად მდგომარეობას. მარკ სეიჯმენი თავის ნაშრომში საუბრობს პროცესების ნაკრებზე, რომელთა გავლაც ადამიანებს ხდის მეტად გახსნილს ძალადობრივ ექსტრემისტულ ორგანიზაციაში ჩართვისა და მობილიზაციის მიმართ. ცნობიერების ამაღლება ან მორალური აღშფოთება ამა თუ იმ სიტუაციის ირგვლივ იწვევს სამყაროს კონკრეტულ სუბიექტურ ინტერპრეტაციას და პირადი გამოცდილებების გარდაქმნას სიტუაციის რეზონანსულ ინტერპრეტაციად. ადამიანები იწყებენ იმის დაჯერებას, რომ მათი ეს შეხედულებები სწორია. შემდეგ უკვე რეკრუტირების ან რაიმე სხვა ტიპის ქსელური ჩართულობის ნაწილი ერთვება პროცესში. არსებობს განმზიდველი და მიმზიდველი ფაქტორების ინდივიდუალური მენიუ, რომელიც ხელს უწყობს ადამიანებს, რომ დადგნენ ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩართვის გზაზე. სოციალური გარიყვა, დისკრიმინაცია, დაუკმაყოფილებელი მოლოდინები, მოქალაქეობრივი უფლებების უარყოფა, რეპრესიები და სხვ. უბიძგებს ადამიანებს გარე ხედვისკენ. მიმზიდველი ფაქტორები ყველასთვის განსხვავებულია და წარმოიშობა ჩართულობიდან. ეს შეიძლება იყოს მიკუთვნებულობის განცდა, ჯგუფის ნაწილად ყოფნის, თავგადასავლების სურვილი ან პირადი გაძლიერება და დიდება, მატერიალური საკითხები, საკუთარი თავის დანახვა ისე, რომ აკეთებ რაღაცას, რაც შენზე დიდია. ასე რომ, განმზიდველი და მიმზიდველი ფაქტორების კომბინაცია, იმის გაგება, თუ რა შესაძლებლობები შეიძლება ჰქონდეს მის ჩართულობას, შემდეგ კი ქსელის ან ფასილიტატორის გაცნობა, პოტენციურად აყენებს ინდივიდს ძალადობრივ ექსტრემიზმში ჩართულობის გზაზე.

მეორე მხრივ, საყურადღებოა, რომ ექსტრემისტების საზოგადოებაში რეინტეგრაციის ერთ-ერთი გამოწვევა არის ფაქტი, რომ დიდი დრო დავხარჯეთ იმ ადამიანების დემონიზირებაში, რომლებიც შორეულ ომებში საბრძოლველად წავიდნენ იდეოლოგიური

მიზეზების გამო. ამ დემონიზირებაში მედიისა და მთავრობასაც მიუძღვით თავიანთი წილი. ამ გამოწვევის გადასალახად საჭიროა მეტად ღია და საზოგადო დიალოგის დაწყება ამ ადამიანების ცუდი და კარგი გამოცდილებების შესახებ, როგორ იქცა ზოგიერთი მათგანი მსხვერპლად. მნიშვნელოვანია, რომ გამოსავლის ნაწილი გახდეს საზოგადოებაც და რამდენადაც შესაძლებელია, გაიზარდოს ინტეგრაცია საზოგადოების წევრებსა და ყოფილ ექსტრემისტებს შორის, უნდა მოხდეს ცხოვრების ნორმალიზება სამსახურების, სოციალური სიტუაციების წყალობით, ამ ადამიანების ყოველდღიურ აქტივობებში ჩართვის გზით, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთგაგების ზრდას. აქ აქცენტი კეთდება ადამიანებზე, რომლებიც მსხვერპლად იქცნენ, ან გაიარეს რეაბილიტაცია და გამოვიდნენ საპატიმროებიდან.

საინტერესოა, რომ ავსტრალიის უსაფრთხოებისა და დაზვერვის ორგანიზაციამ გადაწყვიტა ტერმინების ისლამური ტერორიზმი“ და „ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმი“ “რელიგიურად მოტივირებული ტერორიზმითა” და “იდეოლოგიურად მოტივირებული ექსტრემიზმით” ჩანაცვლება, რადგან ეს ტერმინები ნაკლებ ანტიპათიას იწვევს ზოგიერთი ჯგუფების მიმართ. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ ტერმინი „რელიგიურად მოტივირებული ტერორიზმი“ აკეთებს ვარაუდს, რომ რელიგია არის რეალური მოტივაცია ტერორიზმის უკან. არსებობს რამდენიმე შემთხვევა, მაგალითად, დაეშის, რომელიც გვაფიქრებს იმაზე, იყო თუ არა მათი მოქმედების უკან რელიგიური მოტივი, თუ რელიგია მხოლოდ მთავარი მოტივის შესანიღბად გამოიყენეს. ამიტომ, ტერმინოლოგიის ევოლუცია ყოველთვის აჩენს ახალ კითხვებს და საჭიროა ამ საკითხის ირგვლივ უფრო ვრცელი დისკუსია.

ბოლოს, განხილულ საკითხთან დაკავშირებით, მკითხველს შეუძლია გაეცნოს შემდეგ წიგნებს: ერიკ ჰოფერის „ნამდვილი მორწმუნე: ნარკვევი მასობრივი მოძრაობების ბუნების შესახებ“ და ვიქტორ დევის ჰენსონის „ალ კაიდას მკითხველი“.

მომხსენებლის მიერ რეკომენდირებული ლიტერატურა:

ჰოფერი, ე. (1951). ნამდვილი მორწმუნე: ნარკვევი მასობრივი მოძრაობების ბუნების შესახებ. ნიუ-იორკი: ჰარპერი.

ჰენსონი, ვ.დ. (2007). ალ კაიდას მკითხველი. ნიუ-იორკი: დაბლდეი.

ლიამ მონსელი

ლიამ მონსელი Protection Group International-ის უფროსი ანალიტიკოსია. იგი გაერთიანებულ სამეფოში ექსტრემიზმისა და დეზინფორმაციის მიმართულებით წამყვანი მკვლევარია. მას მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯში (UCL), სადაც ეთნიკურ ჯგუფთაშორის კონფლიქტებს იკვლევდა. ლიამი მუშაობდა დიდი ბრიტანეთის პრობაციის ეროვნულ სამსახურში, სადაც მონაწილეობას იღებდა ყოფილი პატიმრებისთვის სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავებაში. ლიამს ასევე ნამუშევარი აქვს Moonshot CVE-ში. მან შეიმუშავა დამატებითი ტექნიკური ელემენტები ნეირო-ლინგვისტიკურ პროგრამირებასა (NLP) და ღია წყაროს ინტელექტში (OSINT).

დისკუსიის ჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://youtu.be/QGadqF_ZBiQ

სოციალური მედია ტერორისტული და ძალადობრივი ექსტრემისტული ორგანიზაციებისთვის მობილიზაციის ერთ-ერთი წარმატებული ხელსაწყოა. ძალადობის სხვა ტიპებისგან განსხვავებით, ტერორიზმი და ძალადობრივი ექსტრემიზმი მნიშვნელოვნად ეყრდნობა საჯაროობასა და ყურადღებას. ეს არის ძალადობის კომუნიკაციური ტიპი, რომელსაც თეატრალური, თითქმის შოუს მსგავსი ასპექტი გააჩნია. იდეოლოგიურ სპექტრზე, ძალადობრივი ექსტრემიზმი ეყრდნობოდა ტრადიციულ მედიას საკუთარი მესიჯის გასავრცელებლად, სიმპათიისა და მხარდაჭერის მობილიზაციისთვის. მეორე მხრივ, ტერორისტული რეკრუტირება დიდ რისკებს უკავშირდებოდა. მას შემდეგ, რაც მედიის ბუნება შეიცვალა, განსაკუთრებით კი სოციალური მედიის განვითარებით, ნელ-ნელა შუამავალი რგოლი ექსტრემისტულ ჯგუფებსა და აუდიტორიებს შორის თითქმის გაქრა. სულ მცირე, მხარდაჭერის მოპოვებისა და პროპაგანდის გავრცელების მიზნით, სოციალურმა მედიამ საშუალება მისცა ექსტრემისტულ ორგანიზაციებს, საკუთარ პოტენციურ აუდიტორიასთან პირადი, ასე ვთქვათ, ინტიმური ურთიერთობა ჩამოეყალიბებინათ. დღესდღეობით, უფრო და უფრო მეტი სოციალური მედიის პლატფორმა იყენებს ალგორითმულ სისტემას, რის შედეგადაც ჩვენ აღარ ვხედავთ ჩვენ მიერ გამოწერილი ანგარიშების ყველა პოსტს ქრონოლოგიური წყობით. ამის მაგივრად, ალგორითმი თავად წყვეტს, რა იქნება ჩვენთვის საინტერესო, რითაც იპყრობს და ინარჩუნებს ჩვენს ყურადღებას. ეს აყალიბებს სპეციალურად ჩვენთვის შექმნილ რეალობას, რომელიც ავიწროებს ჩვენი მსოფლმხედველობის კრიტიკული შეფასების არეალს და გვიბიძგებს, მეტად ჩავეფლოთ საკუთარ პოზიციებში, ფიქრებსა და მსოფლმხედველობაში. ეს კარგად ხსნის იმ პოლარიზებულ სამყაროსაც, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ.

სანამ განვიხილავთ იმას, თუ როგორ გახდა სოციალური მედია მობილიზაციის ხელსაწყო ექსტრემისტული ჯგუფებისთვის, საჭიროა რამდენიმე ფენომენის ხსენება. პირველ რიგში, იმის გასაგებად თუ როგორ იჩენს თავს ექსტრემიზმი სოციალურ მედიაში, მნიშვნელოვანია ექსტრემიზმსა და ტერორიზმს შორის განსხვავების გააზრება, რადგან სოციალური მედიის როლი თითოეული მათგანისთვის განსხვავებულია. არსებულ და განვითარებად ტერორისტულ ჯგუფებს სოციალური მედია აძლევს ჯგუფის წევრების მობილიზაციის და მათთან კომუნიკაციის განსაკუთრებულ შესაძლებლობას, გარდა ამისა, უზრუნველყოფს სხვადასხვაგვარი სივრცეების არსებობას უკმაყოფილებების გამოსახატად, ნარატივების გასავრცელებლად და ახალი წევრების რეკრუტირებისთვის. ექსტრემიზმი და რადიკალიზაცია შეგვიძლია გავიგოთ, როგორც დაკავშირებული პროცესი, რომლის შედეგადაც ადამიანები ტერორისტულ ან ექსტრემისტულ ჯგუფებსა და რწმენებში სოციალიზირდებიან მტრული განწყობებისა და ძალადობრივი მსოფლმხედველობების განვითარების შემდგომ. სოციალური მედია გვთავაზობს გზებს, რომელთა საშუალებითაც ამ პროცესების დაჩქარებაა შესაძლებელი. ექსტრემისტებს სოციალური მედია აძლევს შესაძლებლობას, გააშუქონ საკუთარი შეხედულებები, რათა გააფართოონ მათი იდენტობა და ეტაპობრივად გავლენა მოახდინონ სხვებზე. ამ ორი ფენომენის განსხვავება მნიშვნელოვანია, რადგან თუ ყველა ტერორისტი ექსტრემისტია, ყველა ექსტრემისტი ტერორისტი არ ხდება. არსებობს უამრავი გარემო ფაქტორი, როგორც რეალურ ცხოვრებაში, ისე ონლაინ, რომელიც გავლენას ახდენს პირის გადაწყვეტილებაზე, იმოქმედოს ექსტრემისტული რწმენით და ჩაიდინოს პოლიტიკური ძალადობა და ტერორიზმი, ამიტომ ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის განსხვავება მნიშვნელოვანია მათში ჩართვის მიზეზების გამო. თავის მხრივ, სოციალური მედიის დეფინიციაც მრავალფეროვანი და კომპლექსურია. ინტერნეტი და ქსელი ყოველთვის გამოიყენებოდა სოციალური ინტერაქციისთვის, მაგრამ თანამედროვე, 2.0 ქსელის გამოჩენამ 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში, ინტერნეტში სოციალური კომპონენტის განთავსების შესაძლებლობაც შექმნა. სოციალური მედია მოიცავს ციფრული პროდუქტების დიდ და მრავალფეროვან არჩევანს, რომლებიც იძლევა ინფორმაციის გაზიარებისა და ონლაინ საზოგადოებების შექმნის საშუალებას. სოციალური მედიის ექსტრემისმთან ინტერაქციის შესწავლაში გვხვდება კონცეპტუალური პრობლემები. ამ საკითხის შესწავლისთვის მნიშვნელოვანია, რომ არ დავაიგნოროთ პრობლემის გამომწვევი მიზეზები და ამ მიზეზების კავშირი სხვა პოლიტიკურ თუ სოციალურ ფენომენებთან. მაგალითად, სრულებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ ტერორისტები და ექსტრემისტები სოციალურ მედიას იმის შესწავლითა და კვლევით, თუ როგორ იყენებენ სოციალურ მედიას მარკეტერები, პოლიტიკური აქტივისტები, სოციალური მოძრაობები. ექსტრემისტებს თავისთავად იზიდავთ სწორედ იგივე მახასიათებლები სოციალური მედიისა, რომლებიც ხელსაყრელია ბიზნესისთვის, რეკლამებისთვის, სოციალური მოძრაობებისთვის და ა.შ. ასე რომ, როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, თუ რატომ გახდა სოციალური მედია ცენტრალური ექსტრემიზმის საფრთხესთან დაკავშირებით, უნდა გავითვალისწინოთ, თუ რატომ გახდა იგი ცენტრალური მარკეტინგში, მონაცემთა კონტროლში, ჟურნალისტიკაში, ზოგადად აქტივიზმსა და სახალხო პოლიტიკაში, საერთო ჯამში კი, ზოგადად ჩვენს ცხოვრებაში. მსგავსებების აღნიშვნასთან ერთად, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ტერორისტები და

ექსტრემისტები კონფლიქტში ერთვებიან მათზე მეტი სამხედრო შესაძლებლობებისა და მომზადების მქონე ქვეყნებთან და ხელისუფლებებთან, შესაბამისად, ნებისმიერი ინსტრუმენტი, რომელიც აძლევთ საშუალებას, გამოიყენონ უფასო ინტერნეტსივრცეები, ჰქონდეთ იაფი და ხელმისაწვდომი კომუნიკაცია, განსაკუთრებით მიმზიდველი ხდება მათთვის.

ისტორიული თვალსაზრისით, ჯერ კიდევ მსოფლიო ქსელის შექმნამდეც, გარკვეული ექსტრემისტები ხედავდნენ ტექნოლოგიის პოტენციალს ექსტრემისტული მესიჯების გაძლიერების საქმეში. მაგალითად, 1980-იან წლებში ლუის ბიმმა, კუ კლუქს კლანის ლიდერმა აშშ-ში, ნეო-ნაცის მწერალ ჯორჯ დიეცთან თანამშრომლობით შექმნა ერთგვარი კომპიუტერიზებული განცხადებების დაფა, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა კომპიუტერით, ტელეფონის ხაზითა და მოდემით. თუმცაღა, იმ დროისთვის ეს მაინც ლიმიტირებულ და შეზღუდულ საზღვრებში დარჩა, რამდენადაც ბევრ ადამიანს არ მიუწვდებოდა ხელი ამ ტექნოლოგიებზე. Area National Libert Net იყო პირველი ექსტრემისტული ციფრული სოციალური მედია, სოციალური ქსელი, რომელიც ფუნქციონირებდა ტერმინის - „სოციალური მედია "- რეალურად შექმნამდეც. 90-იან წლებში საკომუნიკაციო ქსელები მეტად ცნობილი და ფორმულირებული გახდა. ექსტრემისტებმა შექმნეს ონლაინ სადისკუსიო ჯგუფები სახელწოდებით Usenet. Usenet, წინამორბედებისგან განსხვავებით, იყო უფასო და ხელმისაწვდომი ყველასთვის, ვისაც ჰქონდა ინტერნეტი. ამ პლატფორმაში მომხმარებლებს შეეძლოთ დაეწერათ, წაეკითხათ და ეპასუხათ ექსტრემისტული დიალოგისთვის. მას შემდეგ, რაც ეს პლატფორმები მეტად ინტეგრირდა ინტერნეტსა და სოციალურ მედიაში, შეიძინეს მეტი მომხმარებელი, ინტერფეისი გახადეს მეტად მიმზიდველი და მათი გამოყენებაც გამარტივდა. სოციალური ქსელების სხვა უფრო ტრადიციული ფორმების შემთხვევაში, ელექტრონული ფოსტა ფართოდ გამოიყენებოდა ნეონაცისტური დაჯგუფებების მიერ ამერიკაში. ასე რომ, მანამდეც, სანამ სოციალური მედია დღეს არსებულივით მოსახერხებელი გახდებოდა, ექსტრემისტული ჯგუფები ყოველთვის ეძებდნენ ახალ და ინოვაციურ გზებს მესიჯების გასავრცელებლად. როგორც უკვე ვახსენეთ, მნიშვნელოვანი საზომია ასევე ისიც, რომ სოციალური მედია არის ხელმისაწვდომი და მარტივად გამოსაყენებელი. ასევე ინტერნეტი გვთავაზობს ანონიმურობას, რაც განსაკუთრებით ხელსაყრელია ამ ჯგუფებისთვის საზოგადოების თვალში მათი კრიმინალიზაციის შემდეგ. ბოლო 20 წლის განმავლობაში, ყველა თანამედროვე ტერორისტულმა ჯგუფმა შექმნა საიტი, ან გამოიყენა სოციალური მედია. დიდი აკადემიური ყურადღება მიიქცია იმან, თუ როგორ მოახერხა აქ-კაიდამ, სოციალური მედიის გამოყენებით დიდი აუდიტორიის შექმნა, განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე. შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტის მიმზიდველობა, როგორც ინსტრუმენტის, ექსტრემისტებისა და ტერორისტებისთვის იყო თანამედროვე ტერორისტული საფრთხის ინტერნაციონალიზაციის თანადროული. მაგალითად, ისევ ალ-კაიდა საკუთარ თავს გლობალურ მოძრაობად მოიხსენიებს, შესაბამისად, პოტენციურ აუდიტორიამდე მისაღწევად, სხვა, ადგილობრივ ტერორისტულ ჯგუფებზე მეტად არის დამოკიდებული ინტერნეტის მიერ მოწოდებულ გლობალური კომუნიკაციის ქსელზე. ეს ორგანიზაცია თავის მისიას ხედავდა არამარტო მტრებში შიშის დათესვაში, არამედ პრიორიტიზებული ჰქონდა სამიზნე აუდიტორიის „გამოღვიძებაც". აღსანიშნავია, რომ კოვიდ პანდემიამ ახალი შესაძლებლობა და კონტექსტი მისცა ბევრ ექსტრემიზმს საკუთარი ნარატივების ისე გავრცელებისთვის, რომ იყოს მეტად ხელმისაწვდომი საზოგადოების ფართო ფენებისთვის.

ამას გარდა, შეინიშნება ტენდენცია, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ექსტრემისტული ჯგუფები და ორგანიზაციები ეჯიბრებიან ერთმანეთს სოციალურ ქსელებში ძალადობრივი იდეოლოგიის პროპაგანდაზე მონოპოლიის ჩამოყალიბების მიზნით. ამ საკითხზე პასუხი დამოკიდებულია ისევ ორგანიზაციის იდეოლოგიასა და სტრატეგიაზე. ჯგუფები, რომლებიც ფოკუსირებულნი არიან კონკრეტულ სოციუმში ნარატივების გავრცელებაზე, და რადიკალიზირებული ინდივიდების მხარდაჭერის გაძლიერებაზე, იშვიათად შედიან სხვა ჯგუფთან კონკურენციაში. ამის ნაცვლად, ისინი იყენებენ დახურულ სერვისებს, დაშიფრულ სოციალურ მედია- პლატფორმებს და ანონიმურ ფორუმებს, როგორიც 8chan და 4chan-ია. აღნიშნული პლატფორმები ბევრია დაინტერესებული პირი. რეალურად, პოლიტიკური კონკურენტებისგან იზოლაცია კარგი სტრატეგიაა, რადგან ეს აძლევს მათ საშუალებას, უკეთ ჩამოაყალიბონ საკუთარი აუდიტორია.

ბოლო პერიოდში, ვხედავთ ზოგიერთი ექსტრემისტული მოძრაობის ან ჯგუფის ე.წ „ გაჩუმების" ტენდენციას, რაც მათი ანგარიშების გაუქმებას გულისხმობს. აღნიშნული განპირობებულია სოციალურ მედიაზე რეგულირების ბერკეტების მზარდი მოთხოვნით საზოგადოების მხრიდან. თავის მხრივ, სოციალური მედიის რეგულირება უამრავ სირთულეს უკავშირდება. ორივე სფეროში, კონტრ-ექსტრემიზმსა და კონტრ-ტერორიზმში, ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ ამ სირთულეებს. შეიძლება ითქვას, მთავარ გამოწვევებს

დეფინიციები განაპირობებს. საგულისხმოა, რომ საჭიროა ისეთი ფენომენების, როგორიც არის ექსტრემიზმი და ტერორიზმი, საერთო განმარტებებზე შეთანხმება, რაც სოციალურ პლატფორმებს უფრო ხისტი და მყისიერი მოქმედების საშუალებას მისცემდა.

ბოლოს, ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, მკითხველს შეუძლია გაეცნოს ოქსფორდის ინტერნეტ-ინსტიტუტის მიერ გამოცემული კვლევების სერიას - „ციფრული პროპაგანდა," ასევე საფიია ნობლის ნაშრომს „ჩაგვრის ალგორითმები". ჰალ რობერტსის, რობერტ ფერისისა და იოკაი ბენკლერის ნაშრომს „ქსელური პროპაგანდა: მანიპულაცია, დეზინფორმაცია და რადიკალიზაცია ამერიკულ პოლიტიკაში".

მომხსენებლის მიერ რეკომენდირებული ლიტერატურა:

ოქსფორდის ინტერნეტ-ინსტიტუტი (2018). ციფრული პროპაგანდა: პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკოსები და სოციალური მედიის პოლიტიკური მანიპულაცია. ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნობლი, ს. (2018). ჩაგვრის ალგორითმები. ნიუ-იორკი: ნიუ-იორკის გამომცემლობა.

ბენკლერი, ი., ფერისი, რ. & რობერტსი, ჰ. (2018). ქსელური პროპაგანდა: მანიპულაცია, დეზინფორმაცია და რადიკალიზაცია ამერიკულ პოლიტიკაში. ოქსფორდი: ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნათანიელ როზენბლატი

ნათანიელ როზენბლატი ოქსფორდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დეპარტამენტის PhD კანდიდატია. მისი კვლევა ყურადღებას ამახვილებს უცხოელი ტერორისტი მებრძოლების კერების ჩამოყალიბებაზე და ამ კერებში ადამიანების რეკრუტირებაზე. ნათანიელს პოლიტიკურ ეკონომიკაზე, სამოქალაქო კონფლიქტსა და სოციალურ მოძრაობებზე პროფესიონალური მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება აქვს, რომლის ფარგლებშიც ის ასრულებდა საველე სამუშაოებს მაროკოში, არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში, ქუვეითში, სირიაში, ლიბანში, ერაყში, თურქეთსა და ტუნისში.

დისკუსიის ჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://youtu.be/5sPOtTKZnUQ

უცხოელი მებრძოლების ფენომენი არ არის ახალი. პირველად ეს ტერმინი გამოიყენეს იმ ადამიანებთან მიმართებით, რომლებიც მიემგზავრებოდნენ ავღანეთში, რათა მხარი დაეჭირათ ავღანეთისთვის საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ. მანამდეც, მრავალი შემთხვევა არსებობს უცხოელი მებრძოლებისა, თუნდაც ესპანეთის სამოქალაქო ომში, ამერიკის სამოქალაქო ომში, ახლახან კი უკრაინაშიც. დეივიდ მალეტი უცხოელ მებრძოლებს განმარტავს შემდეგნაირად: „კონფლიქტში მყოფი სახელმწიფოს არა-მოქალაქე პირები, რომლებიც უერთდებიან აჯანყებებს სამოქალაქო კონფლიქტების დროს“. იმის მიზეზად, თუ რატომ მონაწილეობენ ადამიანები კონფლიქტებში, რომელიც მათ არ შეეხებათ, მალეტი მიიჩნევს აჯანყებული ორგანიზაციების მიერ კონკრეტული ნარატივებისა და მესიჯების ფორმირებით ტრანსნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებას. ტერმინი დროთა განმავლობაში განვითარდა და ამჟამად ვიყენებთ აკრონიმს FTF, Foreign Terrorist Fighter (უცხოელი ტერორისტი მებრძოლი). ეს ცვლილებები შედეგად მოყვა ადამიანების მიერ ტერორისტულ ორგანიზაციებად კლასიფიცირებულ ჯგუფებთან შეერთებას, მაგალითად, დაეში. უცხოელი მებრძოლების ყველაზე დიდი გაერთიანება 80-იან წლებში ავღანეთში მოხდა, მაგრამ ადამიანების რიცხვი, რომლებიც სირიასა და ერაყში შევამჩნიეთ, აღემატებოდა ამ რიცხვს 20 000 მებრძოლით, რომელიც დოკუმენტირებული იყო კონფლიქტის არსებობის განმავლობაში. 2014 წელს Soufan Group-მა გამოაქვეყნა პირველი ანგარიში FTF-ების შესახებ. ამ დროისთვის მათ აღწერილი ჰყავდათ 12 000 უცხოელი ტერორისტი მებრძოლი 81 ქვეყნიდან, მაგრამ 2015 წელს ეს რიცხვი გაიზარდა 27 000-31 000-მდე 86 ქვეყნიდან. ახლო აღმოსავლეთი FTF-ების ყველაზე დიდი წყარო იყო, მეორე ადგილს ჩრდილოეთ აფრიკა იკავებდა, მე-3 ადგილზე იყო დასავლეთ ევროპა, ხოლო ყოფილი საბჭოთა ქვეყნები - მე-4-ზე. ამის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში კონფლიქტის ბუნება შეიცვალა და დაეშმა გარკვეულწილად დაკარგა საკუთარი ტერიტორიული მთლიანობა. ამან გამოიწვია ნაადრევი დასკვნებიც, რომ დაეში გაქრებოდა უცხოელი მებრძოლების ფენომენთან ერთად. მაგრამ ნათანიელ როზენბლატი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და თვლის, რომ უცხოელი ტერორისტი მებრძოლები არ კარგავენ აქტუალურობას ახლო აღმოსავლეთში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების განხილვა, რომლებიც ხელს უწყობს უცხოელი ტერორისტი მებრძოლების რელევანტურობას ახლო აღმოსავლეთში.

იმ სარეგისტრაციო ფორმების მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, რომელსაც დაეში იყენებდა ჩამოსული უცხოელი მებრძოლებისთვის, შესაძლებელი გახდა ადამიანების წარმოშობის გამოკვლევა და იმის დასკვნა, რომ მებრძოლები არ მოდიოდნენ მსოფლიოს ყველა კუთხიდან, არამედ ქვეყნების კონკრეტული ადგილებიდან, რომლებსაც შემდგომში ნათანიელმა უწოდა კერები. თავის სადოქტორო ნაშრომში ნათანიელ როზნბლატი გამოყოფს 3 მიზეზს, თუ რატომ უნდა ველოდოთ მეტ უცხოელ მებრძოლს ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში მომავალში. ახლო აღმოსავლეთის მაგალითზე, პირველ მიზეზს წარმოადგენს სტრუქტურული პირობები, რომლებმაც დააჩქარა უცხოელი ტერორისტი მებრძოლების რაოდენობრივი ზრდა. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზია კონფლიქტის მასშტაბების მზარდი ტენდენციები. ერთ ქვეყანაში დაწყებული კონფლიქტი ხშირად სცდება ამ ქვეყნის საზღვრებს, რაც განაპირობებს საზღვრის გარედან ამ ქვეყანაში უცხოელი ტერორისტი მებრძოლების შემოსვლას. ხოლო მესამე მიზეზია პოსტკონფლიქტურ სივრცეში დარჩენილი უცხოელი ტერორისტი მებრძოლების უგულებელყოფა, რაც გულისხმობს მათთვის შესაბამისი დერადიკალიზაციის პროგრამების არ არსებობას. აღნიშნულ მიზეზზე ნათლად მეტყველებს სირიის სამოქალაქო ომის მაგალითიც.

რაც შეეხება ზემოთ ნახსენები კერების ძირითად მახასიათებლებსა და ზოგადად მნიშვნელობას, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირად, მობილიზაციას ვუკავშირებთ ქვეყნის განვითარების დონეს, როგორც ამას ბენ მილიქან ქლური აკეთებს თავის ნაშრომებში, ან ვცდილობთ დავადგინოთ ტერორისტულ ორგანიზაციასთან შეერთების ინდივიდუალური მოტივები. მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია ფაქტი, რომ ადამიანები არ უერთდებიან ტერორისტულ ჯგუფს ან არ ხდებიან უცხოელი მებრძოლები სხვა ადამიანებისგან დამოუკიდებლად. ისინი ამას ჯგუფებად აკეთებენ. სწორედ ეს ტენდენცია განაპირობებს ტერმინს „რეკრუტირების კერები“, რომელიც წარმოადგენს ისეთ ადგილს, სადაც რეკრუტირება კრიტიკულ ზღვარს აღწევს. კრიტიკული ზღვარი კი გულისხმობს რეკრუტირების პროცესის ერთი სამეგობრო ჯგუფის მიღმა გასვლას.

კერები მოქმედებენ, როგორც შუალედური ცვლადები არსებულ სტრუქტურულ პირობებსა და მებრძოლ ჯგუფებში გაწევრიანებას შორის. რეკრუტირების ლოგიკა ფართოვდება კერებში, რაც გულისხმობს მომენტს, როდესაც კონკრეტული ქსელი გადალახავს კრიტიკულ ზღვარს და იქცევა ძლიერ სოციალურ მოძრაობად საზოგადოებაში. კერები არამხოლოდ ახდენენ გავლენას იმაზე, თუ როგორ რეკრუტირდებიან ადამიანები, არამედ ცვლიან იმ ადამიანს, რომელსაც არეკრუტირებენ. დეივი მალეტის ნარკვევის მიხედვით, როდესაც ადამიანი უერთდება ორგანიზაციას, იგი უცხოელი ტერორისტი მებრძოლის სტატუსს იძენს და შეგვიძლია ვთქვათ,

რომ „რეკრუტინგის კერები“ არამხოლოდ ტრანსნაციონალური ტერორიზმის რეკრუტირების ძრავაა, არამედ არის კარიბჭეც, რომელიც ხელს უწყობს ამ პირების მობილობას.

რეკრუტირების კერების მომავალთან მიმართებით საგულისხმოა, რომ მთელ ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში არსებობს ურბანული პერიფერიები, სადაც შეიმჩნევა მნიშვნელოვანი სოციალური მობილობა, რის გამოც ზოგიერთ ადამიანს უჭირს ახალი ცხოვრების წესებთან ადაპტაცია. ამრიგად, ურბანული პერიფერიები რეკრუტირების პოტენციურ კერებს წარმოადგენენ.

უცხოელი ტერორისტი მებრძოლების საფრთხე საქართველოს მიმართ საფრთხე მეტად ირიბია, ვიდრე პირდაპირი. უკვე ათწლეულების განმავლობაში, საქართველო ასრულებს ძირითადი ტრანზიტული კერის როლს უცხოელი მებრძოლების მობილიზაციისთვის ჩრდილოეთ კავკასიიდან ახლო აღმოსავლეთში, ან, ზოგ შემთხვევაში - ჩეჩნეთში. კონფლიქტი საქართველოს სამეზობლოში (სირიის სამოქალაქო ომი, ერაყის ომი, აზერბაიჯან-სომხეთის ომი), ხელს შეუწყობს უცხოელი ტერორისტული მებრძოლების მობილობას, რაც, საბოლოო ჯამში, საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების არქიტექტურას.

ასევე საყურადღებოა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით პოლიტიკური რეკომენდაციების განხილვა. არის ადგილები, სადაც რეკრუტირების პრობლემა მწვავედ დგას. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ რეკრუტების გეოგრაფიულ ტენდენციებზე საუბრისას არ უნდა მოხდეს აღნიშნული გეოგრაფიული არეალების სტიგმატიზაცია. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას მთლიანი თემი არ უნდა დაისაჯოს თემის წევრი პატარა ჯგუფის გამო. პოლიტიკოსებს ვურჩევდი ეფიქრათ, თემის ნდობის მოპოვებაზე, რაც საბოლოო ჯამში მთავრობას კრიტიკულად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორს შესძენდა თემის წევრების სახით.

გენდერულ ჭრილში უნდა აღინიშნოს, რომ ქალები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მოძრაობის იმიჯის ნორმალიზებაში. ეს როლი მკაფიოდ არის გამოკვეთილი ისეთი ტერორსტულ ორგანიზაციებში, რომლის მიზანსაც ტერორისტული ერთეულის ან სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენს. ასეთ ორგანიზაციებში ქალებს აქვთ პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყონ საზოგადოებაში ორგანიზაციის არა-რადიკალური იმიჯის დამკვიდრებას. აღნიშნული, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს ადამიანების რეკრუტირებას ტერორსტულ ორგანიზაციებში.

ბოლოს, განხილულ საკითხებთან დაკავშრებით მნიშვნელოვანი საკითხავი ლიტერატურაა აზად მოავენის წიგნი, სასტუმრო ახალგაზრდა ქვრივებისთვის: დაეშის ქალების ცხოვრება, რომელშიც საუბარია ქალების რეკრუტირების მექანიზმების შესახებ; კევინ ტულისის წიგნი ირლანდიის რესპუბლიკური არმიის შესახებ; ჟასმინ ქადრას (მუჰამედ მულესოლი) წიგნი რა ესიზმრებათ მგლებს?

მომხსენებლის მიერ რეკომენდირებული ლიტერატურა:

მოავენი, ა. (2019). სასტუმრო ახალგაზრდა ქვრივებისთვის: დაეშის ქალების ცხოვრება. ნიუ-იორკი: Penguin Random House.

ტულისი, კ. (1995). მეამბოხე გულები: მოგზაურობა ირლანდიის რესპუბლიკური არმიის წიაღში. ლონდონი: მაკმილანის გამომცემლობა

ქადრა, ჟ. (მუჰამედ მულესოლი) (1999). რა ესიზმრებათ მგლებს? სიეტლი: ამაზონის გამომცემლობა.



ზეიდონ ალქინანი

ზეიდონ ალქინანი გეოპოლიტიკის, სექტარიანიზმის და ექსტრემიზმის უფროსი მკვლევარი, ანალიტიკოსი და სპეციალისტია. მისი კვლევის არეალს ერაყი და ზოგადად ახლო-აღმოსავლეთი წარმოადგენს. ზეიდონი ამჟამად აბერდეენის უნივერსიტეტის PhD კანდიდატი და პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში აკადემიური ასისტენტია. ამასთანავე, ზეიდონი ანკარაში ირანის კვლევების ცენტრის მკვლევარია. მას მინიჭებული აქვს მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო საჯარო პოლიტიკაში ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯიდან (UCL), და ბაკალავრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში ვესტმინსტერის უნივერსიტეტიდან.

დისკუსიის ჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://youtu.be/t9M1iTh0tvE

საზოგადოებრივი დაყოფა და განსხვავებულობა ნებისმიერი ტიპის საზოგადოებაში არსებობს და მასში არაფერია თავისთავად ძალადობრივი ან პრობლემური. თუმცაღა, ექსტრემისტული ორგანიზაციები ცდილობენ ეს დანაწევრება თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ. მათი ნარატივი ხშირად ცდილობს იმ შეხედულებისთვის საფუძვლის გამყარებას, რომლის მიხედვითაც ერთი ჯგუფის უბრალოდ არსებობაც კი მეორე ჯგუფის არსებობის გამომრიცხავია. ამ საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება სექტარიანიზმზე და იმაზე, თუ როგორ იყენებენ მას ექსტრემისტები. სექტარიანიზმი გულისხმობს იდენტობის რელიგიურ ან სხვა კომპონენტზე ხაზის გასმას და ამისთვის პოლიტიკური წონის მინიჭებას. პირველ რიგში, იგი გულისხმობს რელიგიური იდენტობის პოლარიზებას, რაც კონკრეტული აქტორების მიზანმიმართული ქმედებების შედეგად ხდება. ისინი პოლიტიზებას უწევენ ამ ჯგუფებს შორის არაძალადობრივ თეოლოგიურ განსხვავებებს. ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, ხდება კონფლიქტის მიზეზი ან მამოძრავებელი ძალა. ახლო აღმოსავლეთში შიიტებსა და სუნიტებს შორის სექტანტიანიზმზე დაფუძნებულ დაპირისპირებას ბოლო ათწლეულში განსაკუთრებული ინტენსიურობა ახასიათებდა. ეს დაპირისპირება ხელახლა დაიწყო ერაყში სადამ ჰუსეინის ჩამოგდებისა და იქ შექმნილი ძალის ვაკუუმის შედეგად. ამას კიდევ უფრო დიდი ძალა შემატა ისლამიზმის პოპულარობის ზრდამ და ტრანსნაციონალური ისლამისტური ჯგუფების აღზევებამ. სექტარიანული იდენტობები კიდევ უფრო მძაფრდება თანამედროვე კომუნიკაციების სწრაფი გავრცელებით. სექტარიანიზმის საკითხს აქვს ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო ასპექტები და განზომილებები.

სექტარიანიზმზე შესაძლებელია 2 განსხვავებული პერსპექტივიდან დაკვირვება. პირველი, გულისხმობს ისტორიულ და რელიგიურ კონტექსტს, მეორე კი - თანამედროვე პოლიტიკურ პრაქტიკას. გამომდინარე იქიდან, რომ სექტარიანიზმის ისტორიული პერსპექტივის განხილვას საათები სჭირდება, უმჯობესი იქნებოდა ამ ფენომენის პოლიტიკურ კონტექსტში განხილვა. ამრიგად, მნიშვნელოვანია აღნიშნულ ფენომენზე არამხოლოდ როგორც ლოკალურ მოვლენაზე, არამედ როგორც რეგიონულ და რიგ შემთხვევებში საერთაშორისო ტენდენციაზე დაკვირვება.

იმის დასადგენად, თუ რა იწვევს ექსტრემიზმს, მრავალი გზა არსებობს. ექსტრემიზმის სამი საერთო ინდიკატორი, რომელსაც ხშირად მოიხსენიებენ, არის: ადამიანები თავს გრძნობენ მსხვერპლად 1. ტერორიზმზე ომის შედეგად, 2. სხვა რელიგიური ან სექტარიანული ჯგუფების მხრიდან; მესამე ელემენტია სიღარიბე და უმუშევრობა. რაც შეეხება პირველ მათგანს, ტერორიზმის შესახებ ძალიან გავრცელებული არგუმენტია ის, რომ ჯიჰადისტური ტერორიზმის თავისთავად ისლამიდან არ მომდინარეობს, არამედ დასავლეთის, კონკრეტულად კი აშშ-ს უსამართლობამ განაპირობა ნეო იმპერიალიზმი, განსაკუთრებით კი 9/11-ის შემდგომმა პერიოდმა და 2003 წელს აშშ-ს ერაყში შეჭრამ. რისცვა, იმედგაცრუება და შურისძიების სურვილი ხელს უწყობს რეკრუტერებს საკუთარი ერის ან თუნდაც არსებობის დაცვაში. რა თქმა უნდა, ექსტრემისტული ჯგუფები ირჩევენ იმ ელემენტებს, რომლებზეც ადამიანები გამოხატავენ იმედგაცრუებას და შესაბამისად, ეს უმარტივებთ რეკრუტინგს. მეორე ელემენტის შემთხვევაში, ადამიანებს აქვთ შეგრძნება, რომ არიან რელიგიური ან სექტარიანული ჯგუფების მსხვერპლნი. ასე რომ, ცალკეული ჯგუფი მათ ირგვლივ არსებული მტრული გარემოს გამო, იბრძვის გადარჩენისთვის. ეს შეიძლება იყოს ბრძოლა მათი ხელისუფლების აღორძინებისთვის, ან პირველად მოპოვებისთვის ხელისუფლების. თავის მხრივ, ისეთი ეკონომიკური ფაქტორები, როგორებიცაა სიღარიბე და უმუშევრობა, იწვევს მრავალი ახალგაზრდის მოწყვლადობას შეიარაღებული ჯგუფების გავლენისადმი, რამდენადაც უჭირთ სამუშაოს პოვნა. ეს ძალიან გავრცელებული საკითხია MENA რეგიონში. რა თქმა უნდა, უცხოური ოკუპაციები და ეთნიკურად განწყობილი დისკრიმინაცია თავისთავად დაკავშირებულია მსხვერპლთა ჯგუფების უმუშევრობასთან. სწორედ ამ ელემენტების გათვალისწინებით შეუძლიათ ექსტრემისტულ ორგანიზაციებს სექტარიანიზმის გამოყენება.

თუკი ვცდით, რომ შევქმნათ სექტარიანიზმის ფენომენის ერთგვარი სამუშაო დეფინიცია, ამას შეიძლება ჰქონდეს კავშირი რელიგიურ იდენტობასთან და პოლიტიკასთანაც. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კუთხით შევხედავთ დეფინიციის შემუშავების პროცესსა და თავად სექტარიანიზმს. ზოგიერთის რწმენით, სექტარიანიზმი მხოლოდ რელიგიურ იდენტობასთანაა კავშირში, თუმცაღა, რეალურად, საქმე იდეოლოგიურ დაპირისპირებასთანაც შეიძლება გვქონდეს.

RAND Corporation-ის მიერ შემუშავებულ 2018 წლის ანგარიშში აღნიშნულია შემდეგი: „ფართომასშტაბიანი სექტარიანული ძალადობა იყო ადგილობრივი და უცხოელი აქტორების განზრახ მცდელობები, სოციალური კონფლიქტის დასაწყებად საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის. სექტარიანულმა მეწარმეებმა წარმატებით მოახდინეს ფარული რელიგიური იდენტურობის მანიპულირება საზოგადოების დასაშლელად, რომლის უკეთ კონტროლიც

შეეძლოთ“. მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ სიტყვაზე „კონტროლი“. ერთ-ერთი, ვისაც შეუძლია ისარგებლოს სექტარიანული მტრობით, არის ტრანსნაციონალური ექსტრემისტული ჯგუფები. ტრანსნაციონალური ექსტრემისტული ორგანიზაციების კავშირის განხილვა სექტარიანიზმის საკითხთან მიმართებით შესაძლებელია კონკრეტული შემთხვევების ანალიზის მეშვეობითაც, მაგალითად ერაყის. 2003 წლის აპრილსა და მარტში ერაყმა იხილა სუნიტი არაბების მეთაურის აჯანყება. ამერიკული ინტერვენციის ფონზე, აღნიშნული აჯანყება ზოგმა პატრიოტიზმის გამოვლინებად აღიქვა. სხვებისთვის ეს იყო გარკვეული ჯგუფის აღორძინება, რომელიც ცდილობდა აღედგინა მისი ისტორიული უფლებები. ამრიგად, ადამიანების ერთი ჯგუფი იბრძოდა ძალაუფლებისთვის, რომელიც მათ ჰქონდათ, ხოლო მეორე ჯგუფი - იმ ძალაუფლებისთვის, რომელიც არასდროს ჰქონია. ხსენებული ბრძოლა გარდაისახა იმ იდეაში, რომ სუნიტი არაბები იყვნენ თანამედროვე ერაყის არქიტექტორები, როგორც ისინი თავად ამტკიცებდნენ და ცდილობდნენ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებას.

რაც შეეხება სირიას, აქ დაეშის მიერ განხორციელებული ძალადობა გასცდა სექტარიანულ ან ეთნიკურ საზღვრებს. თუმცაღა, მინიმუმ რეკრუტირების პოლიტიკისა და ძალადობის თვალსაზრისით, სექტარიანულ დაყოფას მაინც ჰქონდა მნიშვნელოვანი როლი. სირიის კონფლიქტის სექტარიანული ხასიათი ასადის რეჟიმის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა. იმის მიუხედავად თუ რამდენად სწორი ან რელევანტურია ის მოთხოვნები, რომლებსაც ადგილი აქვს ომის დროს, პირველ რიგში მნიშვნელოვანია იმის გამორკვევა, თუ რატომ და როგორ მივედით კონფლიქტამდე. ისევე როგორც ტუნისში, ეგვიპტეში, ლიბიასა და ბაჰრეინში, 2011 წელს სირიაშიც ადგილი ჰქონდა აჯანყებებს ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ, უკეთესი სოციალური შესაძლებლობისთვისა და ეკონომიკური თანასწორობისთვის. ხალხი ითხოვდა რეფორმებს. მიუხედავად იმისა, რომ სექტარიანული დისკურსი სირიაში 2006 წლიდან 2008 წლამდე ერაყის სექტარიანული კონფლიქტის შედეგია, საპროტესტო გამოსვლებს სირიაში აღნიშნულთან კავშირი არ აქვს. პოლიტიკური მობილიზაციის აღნიშნული ჩარჩო, რომელიც ტერიტორიულ და რელიგიურ იდენტობას ემყარება, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დარჩება მნიშვნელოვან გამოწვევად. საგულისხმოა, გარე აქტორების მიერ სექტარიანიზს გამოყენება საკუთარი ინტერესისთვის, რაც ცალსახად ახდენს ქვეყნის დესტაბილიზაციას. ამასთანავე, არ უნდა გამოგვრჩეს ის მიზეზები თუ რატომ იყო გამოყენებული საზოგადოებრივი დაყოფები. მოგეხსენებათ სამხედრო ინტერვენციას შეუძლია დაასრულოს შეიარაღებული კონფლიქტი, თუმცა სექტარიანულ მოტივებთან იგი ნაკლებად ეფექტურია. ამრიგად, ექსტრემიზმის თავიდან აცილების მიზნით კრიტიკულად მნიშვნელოვანია ეროვნული შერიგება.

სექტარიანიზმის მიერ შექმნილ გეოპოლიტიკურ შესაძლებლობებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია რამდენიმე შემთხვევა. 2013 წელს ირანმა დაიწყო სირიის სამოქალაქო ომში შიიტი ჯგუფების მეშვეობით ალავიტების დახმარება. აქ საინტერესოა იმის განხილვა, თუ რამდენად უწყობს ხელს სექტარიანიზმი ირანს სირიაში გავლენის გაფართოებაში. ეჭვგარეშეა, რომ ერაყის კონფლიქტი დაეშთან ნამდვილად ემსახურებოდა ირანის ექსპანსიონისტურ ინტერესებს რეგიონში. მოგეხსენებათ, რევოლუციონერ გუშაგთა ისლამური კორპუსი შექმნილია იმისთვის, რომ მოახდინოს ისლამური რევოლუციის პოპულარიზაცია რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. ხსენებული კონფლიქტი რეალურ შესაძლებლობას წარმოადგენდა. კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს ლიბანის ჰეზბოლას დაარსება. ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავარ გეოპოლიტიკურ მიზანს წარმოადგენს შიიტების დახმარებით რეგიონში რელიგიის დამცველად პოზიციონირება.

ბოლოს, ზემოთ განხილულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი ლიტერატურის გაცნობა: პოსტელი, დ., & ჰაშემი, ნ. „სექტარიანიზაცია: ახლო-აღმოსავლეთის უახლესი პოლიტიკის კვლევა“; ბიშარა, ა. ”სექტარიანიზმი სექტების გარეშე“.

მომხსენებლის მიერ რეკომენდირებული ლიტერატურა:

პოსტელი, დ., & ჰაშემი, ნ. (2017). სექტარიანიზაცია: ახლო-აღმოსავლეთის უახლესი პოლიტიკის კვლევა. ლონდონი: ჰერსტის გამომცემლობა

ბიშარა, ა. (2021). სექტარიანიზმი სექტების გარეშე. ლონდონი: ჰერსტის გამომცემლობა

ჯეფ სკუპი

ჯეფ სკუპი ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-სოციალისტურ მოძრაობას 18 წლის ასაკში შეუერთდა. 21 წლის ასაკში იგი აღნიშნული ექსტრემისტული მოძრაობის ლიდერი გახდა და მოძრაობას 1994-2019 წლებში ხელმძრვანელობდა. დღეს ჯეფი არის ერთ-ერთი მაღალი რანგის თეთრკანიანი ულტრანაციონალისტი, რომელმაც მოახერხა ექსტრემისტული მოძრაობის დატოვება. დღეს ჯეფ სკუპის მუშაობა ორგანიზაცია „საზღვრებს მიღმას“ ფარგლებში ძალადობრივი ექსტრემისტული მოძრაობებიდან ადამიანების ჩამოშორებას ეძღვნება.

დისკუსიის ჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://youtu.be/inOP4-hPYfg

უკანასკნელი წლების განმავლობაში ნათლად ვხედავთ ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის ზრდას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ულტრამემარჯვენეობას მრავალი განსხვავებული ფორმა და იდეოლოგიური ქვეგანყოფილება აქვს. სწორედ ამიტომ, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ან კონცეპტუალიზაცია მოვახდინოთ ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის - რას წარმოადგენს იგი და რა იდეოლოგიური საფუძვლები აქვს.

ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის მრავალი ასპექტის გამო, შეუძლებელია მათი ერთ იდეოლოგიურ კატეგორიაში გაერთიანება. არსებობს მკაფიო განსხვავება ულტრამემარჯვენეობას, ულტრამემარცხენეობასა და ძალადობრივ ექსტრემიზმს შორის. შესაძლებელია, ინდივიდი იყოს მემარცხენე ან მემარჯვენე, მაგრამ არა აუცილებლად ექსტრემისტი. საგულისხმოა, რომ ულტრამემარჯვნეობას აქვს ე.წ დაყოფის, საზოგადოების წევრების კლასიფიკაციის ტენდენცია, რომელიც მეტწილად გარკვეული ჯგუფების დეჰუმანიზაციას გულისხმობს.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ არავინ არ არის დაცული ექსტრემიზმში ჩართვისგან და რადიკალიზაციის სხვადასხვაგვარი გზები არსებობს, რომლებსაც ინდივიდები გადიან. საინტერესოა ამ მხრივ ჯეფ შოეპის გამოცდილების გაზიარება, რომელიც 18 წლის ასაკში შეუერთდა ეროვნულ-სოციალისტურ მოძრაობას: „მათი იდეოლოგიით მანამდეც ვიყავი მოხიბლული. ბაბუაჩემი და მისი ძმები იბრძოდნენ მესამე რაიხის არმიაში, ჩემი ოჯახი გერმანიაში ცხოვრობდა, ხოლო მე ოჯახის პირველი წევრი ვარ ვინც ამერიკაში დაიბადა. ჩემს ოჯახში არავის უცდია აღნიშნული იდეოლოგიებისკენ ბიძგება, პირიქით ამ თემაზე საუბარს ერიდებოდნენ კიდეც. თუმცა, მე ბავშვობიდან მოხიბლული ვიყავი მსგავსი იდეოლოგიებით. სკოლის პერიოდში თემატურად ვკითხულობდი შესაბამის წიგნებსაც. წლების შემდეგ ვაცნობიერებ, რომ ეს მე არ ვუსმენდი საზოგადოებას და არა ის არ მესაუბრებოდა მე. როგორც ვთქვი, 18 წლის ასაკში შევუერთდი ეროვნულ-სოციალისტურ მოძრაობას, რადგან ვეძებდი ნაცისტური მოძრაობების მსგავსს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ხსენებული ეროვნულ-სოციალისტური მოძრაობა იყო ამერიკის ნაცისტური პარტიის დამფუძნებლის, ჯორჯ ლინკოლნ როკველის საქმიანობის ლოგიკური გაგრძელება. საგულისხმოა, რომ გერმანიაში არსებული მოძრაობების მსგავსის ძიების პროცესში ბევრ კლანს, ორგანიზაციასა და ჯგუფს შევხვდი, თუმცა მხოლოდ ეროვნულ-სოციალისტური მოძრაობას გააჩნდა მაქსიმალური მსგავსება“.

შოეპმა ორგანიზაციაში გატარებული სულ რაღაც სამი წლის შემდეგ, 21 წლის ასაკში, მოახერხა ორგანიზაციის ლიდერად ჩამოყალიბება. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს: „ორგანიზაცია 1973 წელს შეიქმნა, ბევრად ადრე ვიდრე მე მასში გავწევრიანდი. მიუხედავად ამისა, ჩემი გაწევრიანების შემდეგ ორგანიზაციაში გაწევრიანება დაიწყეს ჯორჯ ლინკოლნ როკველის ყოფილმა თანამებრძოლებმა. ჩვენი ორგანიზაცია როკველის ნაცისტური პარტიის უშუალო შთამომავალი გახლდათ. ძალიან აქტიური ვიყავი, შეიძლება ითქვას კარგი რეკრუტიც. ამასთან ერთად იმ დროისათვის ორგანიზაცია მხოლოდ მინესოტაში ოპერირებდა. გამომდინარე იქიდან, რომ კარგი რეკრუტი ვიყავი და ამასთანავე მინესოტელიც, ერთეულის მეთაურად დავინიშნე. მეთაურად დანიშვნიდან სწრაფადვე, ჩვენმა იმდროინდელმა ორგანიზაციის ლიდერმა დატოვა მოძრაობა და ხელმძღვანელად მე დამნიშნა. საგულისხმოა, რომ ორგანიზაციის ლიდერობა არასოდეს მსურდა, ამიტომაც თავიდან საქმეს დიდი ენთუზიაზმით არ მოვკიდებივარ. 90-იანი წლებიდან ჩვენ აქტიურად გაფართოება დავიწყეთ. აღსანიშნია, რომ ადამიანები ყველა შტატიდან წევრიანდებოდნენ ჩვენს მოძრაობაში. ამასთანავე 2000-იანი წლების დასაწყისში ჩვენ გავხდით პირველი მოძრაობა, რომელმაც ინტერნეტზე წვდომა მოიპოვა და საკუთარი ვებ-გვერდი შექმნა, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა პროცესები“.

შოეპის მიხედვით, ეროვნულ-სოციალისტური ორგანიზაციის ფუნდამენტურ იდეას საზოგადოების ნებისმიერი ფენიდან არადისკრიმინაციული რეკრუტირება წარმოადგენდა. მათ შორის, მედიაც ხშირად ახსენებდა ამ ორგანიზაციის მრავალფეროვან „დემოგრაფიას“, რასაც ინტერნეტში ეროვნულ-სოციალისტების აქტიურობას მიაწერდნენ. რაც შეეხება ორგანიზაციულ წესებს ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებით, ეროვნულ-სოციალისტების შემთხვევაში ასეთი წესები არსებობდა, თუმცაღა ეს უფრო მეტად განპირობებული იყო არა წევრების მორალური ან ინდივიდუალური ღირებულებებით, არამედ სამართალდამცავს უწყებებთან დაპირისპირების შიშით. საგულისხმოა, რომ აღნიშნული დადებითად მოქმედებდა საზოგადოებაზე და ხელს უწყობდა ორგანიზაციას რეკრუტირების პროცესში. შოეპი დასძენს, რომ ზოგიერთი ძალადობრივი პოსტი, რომელიც ინტერნეტში ქვეყნდებოდა, მისთვისაც მიუღებელი იყო.

გამომდინარე იქიდან, რომ ჯეფ შოეპს, როგორც ზემოთ ვახსენეთ, აქვს ძალადობრივი ექსტრემისტული ჯგუფის წევრობის და ასევე, დერადიკალიზაციის ძალისხმევაში ჩართვის დიდი

გამოცდილება, მნიშვნელოვანია მისი ცოდნისა და რჩევების გაზიარება იმ ქვეყნებისთვის, სადაც მსგავსი პრობლემა მწვავედ დგას. პირველ რიგში, საჭიროა, რომ მთავრობებმა აქტიურად უნდა იმუშაონ ყოფილ რადიკალებთან, რაც მათ მისცემთ სწორი დასკვნების გამოტანის საშუალებას. ამასთან, მნიშვნელოვანია ფინანსების ჩადება დერადიკალიზაციის პროცესში, არამხოლოდ მთავრობის, არამედ კერძო სექტორის მხრიდანაც, რამდენადაც ეს კარდინალურად ცვლის სიტუაციას. შოეპი აღნიშნავს: „ჩემს საქმიანობასთან დაკავშირებით ხშირად მომისმენია საზოგადოებრივი აზრი, რომ ამ ძალისხმევას საკუთარი ნაცისტი მეგობრების გადასარჩენად ვაკეთებდი. თუმცა, წარმოიდგინეთ, თუ შევძელით პოტენციური ტერორისტის რადიკალიზაციის პროცესის შეჩერება მთავრობასთან თანამშრომლობის გზით, რამდენ სიცოცხლეს გადავარჩენთ“.

რადიკალიზაციისა და დერადიკალიზაციის საკითხი მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში მწვავედ დგას. ამ მხრივ საინტერესოა ახლო-აღმოსავლეთიდან რეპატრირებული პირების მაგალითის განხილვა. შოეპი, წარმატებული დერადიკალიზაციისთვის, პირველ რიგში, აღნიშნავს თუ რამდენად მნიშვნელოვანია დიალოგის სწორად წარმართვა, შეურაცხყოფის მიყენების გარეშე: „თუ ადამიანს ეტყვით, რომ ის ნაძირალაა და ფარსის სჯერა, იგი უბრალოდ არ მოგისმენთ. წარმატების გასაღებს სწორედ პატივისცემით გაჯერებული დიალოგის წარმოება წარმოადგენს“. ამას გარდა, დერადიკალიზაციის პროცესში საუკეთესო დამხმარედ შეიძლება მოგვევლინოს სწორედ ამ პროცესში წარსულში ჩართული პირები, რომლებმაც უკვე გაიარეს ის გზა, რომელსაც ახლა რადიკალიზებული პირი გადის. ეს ერთგვარად შეგვიძლია ალკოჰოლზე დამოკიდებულებასთან ბრძოლას შევადაროთ. საგულისხმოა, რომ რადიკალიზირებული პირი უფრო მაღალი ხარისხის უკუკავშირს გრძნობს იმ ადამიანებთან, ვისაც მსგავსი გზა აქვს განვლილი და არა სასულიერო პირთან, ფსიქოლოგთან ან სხვა სექტორის წარმომადგენელთან. ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოების დარჩენილ ნაწილს დერადიკალიზაციის პროცესში უდიდესი ძალისხმევა არ შეაქვს. თუ თქვენს სანაცნობო წრეში არსებობენ რადიკალიზირებული ადამიანები გირჩევდით გამოიჩინოთ მოთმინება, მოეკიდოთ მათ გაგებით და ამასთანავე სცეთ მათ პატივი, რადგან დერადიკალიზაციის პროცესი თავისი ბუნებით ხანგრძლივი და კომპლექსურია.

ბოლოს, განხილულ საკითხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის ჯეფ შოეპი შემდეგ რეკომენდაციებს გვთავაზობს: ფილმი „იმედი წმინდა მიწაზე“, რომელიც ისრაელი-პალესტინის კონფლიქტზეა და ორივე მხარის პოზიციებს წარმოადგენს. ამასთანავე ფილმში წარმოდგენილია რადიკალიზაციის პრობლემა და პროცესის დეტალური აღწერა. ასევე საიმონ უესენთალის წიგნი „მზესუმზირა“. წიგნის ავტორი ჰოლოკოსტს გადარჩენილი ტყვეა, რომელიც მიტევების მნიშვნელობაზე საუბრობს.

მომხსენებლის მიერ რეკომენდირებული ლიტერატურა:

უესენთალი, ს. (1969). მზესუმზირა. ნიუ-იორკი: Penguin Random House

ელიზაბეტ თრელკელდი

ელიზაბეტ თრელკელდი სტიმსონის ცენტრის სამხრეთ აზიის პროგრამის უფროსი მკვლევარი და დირექტორის მოადგილეა. სტიმსონში მუშაობის დაწყებამდე, ელიზაბეტი სახელმწიფო დეპარტამენტის საგარეო მოსამსახურის პოსტს იკავებდა ისლამაბადში, პეშავარში და მონტერეიში. ამასთანავე, მას აქვს სამუშაო გამოცდილება ჩრდილოეთ ერაყის ქურთულ რეგიონში, სადაც განვითარების პროგრამას მართავდა. ელიზაბეტს მინიჭებული აქვს მაგისტრის ხარისხი პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში კემბრიჯის უნივერსიტეტიდან. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ელიზაბეტს არაერთი სახელმწიფო ჯილდო მიანიჭა, რომელთა შორის საგულისხმოა 2016 წელს მიღებული უმაღლესი საპატიო ჯილდო.

დისკუსიის ჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://youtu.be/cZKuae6KJec

ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ამერიკის შეერთებული შტატების შიდა აუდიტორია დაღლილია იმით, რაც ახლა ცნობილია, როგორც ყველაზე გრძელი ომი აშშ-ს ისტორიაში, რომელიც, როგორც ჩანს, შერეული წარმატებებით სარგებლობდა 2001 წლიდან. ადმინისტრაციებმა ზედიზედ დადეს პირობა, რომ იპოვნიდნენ ავღანეთში ომის დასრულების გზებს, მაგრამ პოლიტიკა რამდენჯერმე შეიცვალა. საბოლოოდ, 2020 წლის 29 თებერვალს, აშშ-მ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას თალიბანთან. ხელშეკრულების მიხედვით, 14 თვის განმავლობაში სრულად უნდა გაეყვანათ ავღანეთიდან სამხედროები და თალიბანმა პირობა დადო, რომ ავღანეთი აღარ იქნებოდა გამოყენებული აშშ-ს ინტერესების საწინააღმდეგოდ ტერორისტული ორგანიზაციების ბაზად. მთელი ამ პროცესის განმავლობაში, თალიბანთან მოლაპარაკებების შესახებ სიფრთხილისკენ მოუწოდებდნენ დარგის ექსპერტები ძირითადად იმიტომ, რომ თალიბანის მსგავსი ერთეულები არ მიიჩნევიან მოლაპარაკებების სანდო პარტნიორებად. მიუხედავად ამისა, ტრამპის ადმინისტრაციის მიერ თალიბანთან დადებული გარიგება გარკვეულწილად დიდი საერთაშორისო მხარდაჭერით სარგებლობდა, რაც გამოვლინდა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შეთანხმების ერთხმად დამტკიცებით. თუმცაღა, დოჰას მოლაპარაკებებმა საყოველთაოდ გამორიცხა ავღანეთის მთავრობა, რომელიც არსებითად აშშ-მ შექმნა და დაეხმარა ლეგიტიმური ხელისუფლების ჩამოყალიბებაში. ავღანეთის სახელმწიფო მოხელეები არ წარმოადგენდნენ მოლაპარაკებების ოფიციალურ მხარეს 2020 წლის სექტემბრამდე. საბოლოოდ, ავღანეთიდან ჯარების გაყვანის ვადის 1 მაისიდან 31 აგვისტომდე გადატანის შემდეგ, ბაიდენის ადმინისტრაციამ გააძლიერა გასვლის ძალისხმევა და ვადის ამოწურვამდე ორი კვირით ადრეც კი დაასრულა. ამის შემდგომ, პროვინციები თალიბანის მმართველობის ქვეშ მოექცა, ხოლო ქაბული 15 აგვისტოს დაეცა. პრეზიდენტი აშრაფ ლანი გაიქცა ქვეყნიდან და არმიამ არც ისე სარწმუნო წინააღმდეგობა გაუწია თალიბებს. მსოფლიო შოკში ჩააგდო კადრებმა, თუ როგორ მიემართებოდა ხალხი ქაბულის საერთაშორისო აეროპორტში თალიბანისგან თავის დასაღწევად. შემდეგ მოხდა ტერაქტი, რომელმაც 95 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, დაშავდა მრავალი ადამიანი. დაღუპულთა შორის იყო 13 ამერიკელი სამხედრო ქალი და მამაკაცი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება გამოითქვა, როგორც New York Times-შია ნათქვამი, პრობლემა არა იმაშია, თუ როგორ დატოვა აშშ-მ ავღანეთი, არამედ არსებითად იმ ფაქტში, რომ აშშ იყო ავღანეთში. ბობ ბრაუნი Foreign Affairs - ში გამოქვეყნებულ ნაშრომში ქაოსში ავღანეთის მთავრობას ადანაშაულებს და აღნიშნავს, რომ ავღანეთში აშშ-ს მუდმივი ყოფნისა და რეფორმების წარუმატებლობის გამო, ავღანეთის მთავრობა ჩამოყალიბდა თვითკმაყოფილ და კორუმპირებულ ხელისუფლებად. კიდევ ერთი ავტორის, დანიელ ბაიმანის ნაშრომში ნახსენებია, რომ აშშ-ს კონრტერორისტული ძალისხმევა ბოლო 20 წლის განმავლობაში საკმარისად კარგი სტრატეგია/დოქტრინა იყო გლობალური ტერორიზმის საერთო დონის შემცირების გზით მთავარი სტრატეგიული მიზნის - აშშ-ს მიწაზე მასშტაბური თავდასხმის აღკვეთის - მისაღწევად. ზოგიერთმა შეიძლება თქვას, რომ შეერთებული შტატების მცდელობა, აეშენებინა ცენტრალიზებული მთავრობა ტომობრივ პირობებში, წარუმატებლობისთვის იყო განწირული და თალიბანი უკიდურესად მზად იყო მობილიზებისთვის. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ამ საკითხთან დაკავშირებით უამრავი კომენტარი და მოსაზრებაა და ამჟამად არსებული სიტუაციის ანალიზისთვის მნიშვნელოვანია თავდაპირველად იმის განხილვა, თუ რა ხდებოდა გასული 20 წლის განმავლობაში - ადმინისტრაციის პოლიტიკის შემუშავება, ომის მიმდინარეობა, მოლაპარაკებებისა და გადაწყვეტილების მიღების ნაწილამდე მისვლა.

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია თალიბანის წარმომავლობაზე საუბარი. ავღანეთში საბჭოთა კავშირის შეჭრის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები და საუდის არაბეთი მხარს უჭერდნენ ადგილობრივების მიერ პაკისტანის მოჯაჰიდებთან ურთიერთობის დამყარების მცდელობას. 1989 წლის შემდეგ, ამ მოჯაჰედებმა დაიწყეს სამოქალაქო ომი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ხელს უწყობდნენ. ომის პარალელურად, დაახლოებით 1994 წელს, ავღანეთის სამხრეთ ქალაქ ყანდაარში თალიბანის მოძრაობა გაჩნდა, რომელმაც 2 წელში შეძლო მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაკავება და ხელისუფლებაში მოსვლა. თავდაპირველად, მისი დამფუძნებელი წევრების საერთო მიზანი სტაბილურობის მოპოვება იყო კორუფციის აღმოსაფხვრელად და საფუძვლის შექმნა ავღანეთის სამოქალაქო ომში ჩართვისათვის. თალიბანის მმართველობა 2001 წლამდე გაგრძელდა, რომლის დროსაც იგი ეხმარებოდა და მასპინძლობდა ისეთ ტერორისტულ ორგანიზაციებს, როგორიც არის ალ კაიდა და იღებდა დაფინანსებას ოსამა ბინ ლადენისგან. თალიბანის მთავრობა აღიარა მხოლოდ სამმა ქვეყანამ: პაკისტანმა, საუდის არაბეთმა და არაბეთის გაერთიანებულმა საემიროებმა. უფრო ფართო საერთაშორისო დონეზე იგი დაგმობილი იყო ქალებისადმი მოპყრობისა და ადამიანის სხვა უფლებების დარღვევის გამო. 11 სექტემბრის თავდასხმას ბუშის ადმინისტრაციამ ავღანეთში შეჭრით უპასუხა. ნატოს პარტნიორმა ქვეყნებმა სამხედრო უპირატესობა ინტერვენციიდან მალევე მოიპოვეს მცირე რესურსით. 2007 წლამდე ნატოს სამხედრო კონტინგენტი ავღანეთში დაახლოებით 25000 ადამიანისგან შედგებოდა. ამერიკის

შეერთებული შტატების ავღანური მიზნის ცვლილების პარალელურად, ერაყში სამხედრო მოქმედებები დაიწყო, რამაც საქმე კიდევ უფრო გაართულა. 2010 წლისთვის ნატოს ავღანეთში 100 000 ჯარისკაცი ჰყავდა. პაკისტანში ოსამა ბინ ლადენის მკვლელობის შემდეგ, 2011 წელს, პრეზიდენტმა ობამამ გააჟღერა ამერიკული კონტინგენტის ავღანეთიდან გაყვანის ინიციატივა. აღნიშნული ინიციატივით 2014 წლიდან, ავღანეთში მისიის კატეგორია შეიცვალა და იგი საბრძოლოდან საწვრთნელ მისიად გადაკეთდა. ობამას ოფისმა იქ 8400 ჯარისკაცი დატოვა. პრეზიდენტმა ტრამპმა თავიდან დამატებითი ჯარები შეიყვანა ავღანეთში, მაგრამ შემდეგ მიიღო მოლაპარაკებების გაგრძელების გადაწყვეტილება, რომელიც 2020 წლის თებერვლის შეთანხმებით დასრულდა. ამრიგად, ბოლო 4 ადმინისტრაციის განმავლობაში ავღანეთთან დაკავშირებით საინტერესო დინამიკა ვიხილეთ.

რაც შეეხება უშუალოდ დოჰას მოლაპარაკებებს, იგი ავღანეთის მთავრობისა და თალიბანის მოლაპარაკებების მაგიდასთან შეკრების მრავალწლიანი ძალისხმევის კულმინაციას წარმოადგენდა. 2015 წლიდან ჩვენ ვნახეთ ობამას ადმინისტრაციის მიერ მოლაპარაკებების დაწყების ადრეული მცდელობები ჩინეთში, პაკისტანში, შეიქმნა ოთხმხრივი საკოორდინაციო ჯგუფიც, რომელმაც გააერთიანა ავღანეთი, პაკისტანი, აშშ და ჩინეთი. ეს ყველაფერი განხორციელდა იმის დასადგენად, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ამ ომის მოლაპარაკებებით პოლიტიკური გამოსავლის ძიება. აშშ-მ საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ ვერ შეძლებდა თალიბანისა და ავღანეთის მთავრობის იძულებით დასხმას პირისპირ. ამის ნაცვლად, დაიწყო მოლაპარაკებები უშუალოდ თალიბანთან, რაც ამ უკანასკნელის დიდი ხნის მოთხოვნა იყო. ეს მოლაპარაკებები 2020 წლის 29 თებერვალს დასრულდა თალიბანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებით დოჰაში. შეთანხმების არსს წარმოადგენდა პირობა, რომ ავღანეთში კონტრტერორისტული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სანაცვლოდ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო კონტინგენტი დატოვებდა ქვეყანას. თუმცა, მოგეხსენებათ სამხედრო კონტინგენტის გაყვანას გაცილებით დიდი დრო დასჭირდა, ვიდრე შეთანხმებული იყო 1 მაისის ვადებში. აღნიშნულმა სტრუქტურული გამოწვევები შეუქმნა ბაიდენის ადმინისტრაციას. აღსანიშნავია, რომ აშშ-მ გამოაქვეყნა ავღანეთის მთავრობასთან ერთობლივი განცხადებაც, რომელიც იყო დოჰას ხელშეკრულების პარალელური სტრუქტურა, მაგრამ ჰქონდა განსხვავებული დეტალები. დოჰას ხელშეკრულებაში ასევე საუბარი იყო ავღანეთიდან პატიმრების გათავისუფლების გარანტიაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით შეგვიძლია გამოვყოთ ამ მოლაპარაკებების ძირითადი გამოწვევები და ხარვეზებიც. პირველ რიგში, აშშ აღმოჩნდა სტრუქტურული გამოწვევის წინაშე - იგი იყო შუამავალი ორ სხვადასხვა მხარეს შორის და უზრუნველყოფდა გარანტიებს იმ საკითხებზე, რომლებსაც მას რეალურად არ გააჩნდა კონტროლი. პატიმრების გათავისუფლების მაგალითზე, ეს ყველაფერი დამოკიდებული იყო ვადებზე და უკავშირდებოდა ავღანეთში უშუალოდ თალიბანსა და მთავრობას შორის მოლაპარაკებების წარმართვის მიზანს. აღნიშნულ მიზანთან მისასვლელად კი მთელი რიგი ნდობის აღდგენის პროცესები იყო საჭირო. პრობლემას წარმოადგენდა ისიც, რომ ავღანეთის მთავრობა თავად იყო გადამწყვეტი ზოგიერთ, მათ შორის, პატიმრების გათავისუფლების საკითხშიც. გამომდინარე იქიდან, რომ პროცესი მოსალოდნელზე დიდხანს გაიწელა, ავღანეთის მთავრობას თანდათან განუვითარდა მტრული განწყობა და შთაბეჭდილება, რომ აშშ და თალიბანი მის ზურგს უკან მოქმედებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ ვიხილეთ თალიბები და ავღანეთის მთავრობის წარმომადგენლები ერთ მაგიდასთან, მოლაპარაკებები იმდენად ნელა და იმდენი წინააღმდეგობით წარიმართა, რომ არ გამოიღო ის ნაყოფი, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოება მოელოდა.

ავღანეთში დღეს არსებულ სიტუაციასთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ ბაიდენის ადმინისტრაციის ევაკუაციისთვის ბოლო გაცხადებული ვადა 31 აგვისტოა. თალიბანმა აღნიშნულთან დაკავშირებით მკაფიოდ დააფიქსირა პოზიცია, რომ ევაკუაცია 31 აგვისტოს შემდეგ არ მოხდებოდა. თავის მხრივ, აეროპორტზე მიტანილ თავდასხმაზე დაეშის ხორასანის პროვინციის მიერ პასუხისმგებლობის აღებამ ყველაფერი კიდევ უფრო გაართულა. შეინიშნება რამდენიმე სპეკულაცია, რაც უკავშირდება ამერიკის საელჩოს მომავალს. ძალიან რთულია გაიგო თუ რა ხდება ავღანეთში რეალურად. თალიბანი ცდილობს იმიჯის რეაბილიტაციას განცხადებების დახმარებით, თუმცა მათ ქმედებაში შეიმჩნევა ძველი თალიბანის კონტურები.

აღსანიშნავია, რომ ავღანეთში თალიბანის გარდა კიდევ მრავალი აქტორი გვხვდება, რომლებიც იბრძვიან საკუთარი ძალაუფლებისა და ინტერესებისთვის. ზოგიერთი მათგანი სცილდება კიდეც თალიბანის კონტროლის ზონას, შესაბამისად, თალიბების მიერ აღნიშნული აქტორების ეფექტური მოთოკვა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. თუმცაღა, საგულისხმოა, რომ თალიბანმა გამარჯვებას არამხოლოდ სამხედრო ელემენტებით მიაღწია, ამიტომაც, შეიძლება ითქვას, მათ გააჩნიათ მართვის გარკვეული ელემენტები. ამ მნიშვნელოვან აქტორებს შორის თალიბანის ერთ-ერთი კონკურენტია დაეშის ხორასანის პროვინციაც.

ავღანეთში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, არსებობს რისკი, რომ ავღანური მიწა კვლავ იქცევა ტერორისტული საქმიანობის ერთგვარ კერად. საგულისხმოა, რომ ავღანეთის ბევრმა „ფილიალმა“ უკვე მიულოცა თალიბანს გამარჯვება. დოჰას შეთანხმების დოკუმენტში კონკრეტული ტერორისტული ორგანიზაციები დასახელებული არ არის, თუმცა თალიბანმა აიღო პასუხისმგებლობა აღეკვეთა ტერორისტული თავდასხმები როგორც ავღანეთში ისე მის საზღვრებს გარეთ. შეთანხმების პირობების ამგვარმა ფორმულირებამ შესაძლებელია საშუალება მისცეს თალიბანს თავიდან აირიდოს გარკვეული პასუხისმგებლობები.

ამასთან, გასათვალისწინებელია საერთაშორისო განზომილებაც და შესაბამისად, ყველა ის აქტორი, რომლებიც პირდაპირ, თუ არაპირდაპირ არიან ჩართული აღნიშნულ პროცესებში. სხვა აქტორების პერსპექტივასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ პაკისტანს თალიბანის მხარდაჭერის არაერთი მიზეზის აქვს. პირველი, ინდოეთის გავლენის შემცირებაა რეგიონში. მეორე მიზეზი რეგიონში ძლიერი მოკავშირის ყოლას გულისხმობს. ლოგიკურია პეკინის შეშფოთებაც, რომელიც ავღანეთში განვითარებულ მოვლენებს ეროვნული უსაფრთხოების რისკებად აღიქვამს, რადგან ჩინეთში მწვავედ დგას უიღურების საკითხი. სავარაუდოა, რომ რუსეთი კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთვება აღნიშნულ პროცესებში. არ არის გამორიცხული თალიბანთან აქტიური ურთიერთობების დამყარება, რაც საბოლოოდ მის აღიარებამდე მიგვიყვანს. ამრიგად, ჩვენ დღეს ვაკვირდებით საერთაშორისო საზოგადოებას, რომელსაც კონსოლიდირებული მიდგომა ჰქონდა წარსულში თალიბანის მიმართ, თუმცა ახლა სხვადასხვა დამოკიდებულებით გამოირჩევიან.

ბოლოს, განხილულ საკითხზე სარეკომენდაციო ლიტერატურასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ავღანეთში განვითარებული მოვლენების შესასწავლად მნიშვნელოვანი ნაშრომია თომას ბარფილდის „ავღანეთის კულტურული და პოლიტიკური ისტორია“. ასევე ავღანეთში არსებული ვითარების მიმართ პაკისტანის და ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციების უკეთ გასაგებად საინტერესოა სტივ კოლის ნაშრომი „მოჩვენებების ომი“. ავღანეთის შიდა სამზარეულოში უკეთ ჩასახედად კი - ჯენიფერ მურთაზაშვილის წიგნი „არაფორმალური წესრიგი და ავღანეთში არსებული მდგომარეობა“. და ბოლოს, თუ გაინტერესებთ აღნიშნული პროცესების სამხედრო-ლოჯისტიკური მხარე, აუცილებლად უნდა გაეცნოთ უესლი მორგანის ნაშრომს „ცხელი წერტილი: ამერიკის სამხედრო კონტინგენტის მდგომარეობა ავღანეთში“.

მომხსენებლის მიერ რეკომენდირებული ლიტერატურა:

ბარფილდი, თ. (2010). ავღანეთის კულტურული და პოლიტიკური ისტორია. ბოსტონი: პრინსტონის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კოლი, ს. (2004). მოჩვენებების ომი. ნიუ-იორკი: Penguin Random House

მურთაზაშვილი, ჯ. (2016). არაფორმალური წესრიგი და ავღანეთში არსებული მდგომარეობა. კემბრიჯი: კემბრიჯის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

უესლი, მ. (2021). ცხელი წერტილი: ამერიკის სამხედრო კონტინგენტის მდგომარეობა ავღანეთში. ნიუ-იორკი: Penguin Random House

ტორე ბიორგო

დოქტორი ტორე ბიორგო ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი და ამავე უნივერსიტეტის ექსტრემიზმის კვლევითი ცენტრის (C-REX) დირექტორია. ბატონი ბიორგი 2004 წლიდან კითხულობს ლექციებს ნორვეგიის პოლიციის უნივერსიტეტში, სადაც 2005-2007 წლებში კვლევითი პროექტების დირექტორის პოზიციას იკავებდა. მისი კვლევა ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკური ძალადობის და ტერორიზმის, მემარჯვენე ექსტრემიზმის, რასიზმის და დერადიკალიზაციის საკითხებზე.

დისკუსიის ჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://youtu.be/uyY6i2zgwWc

ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმს ხანგრძლივი და მტკივნეული ისტორია აქვს ბევრ ქვეყანაში, რაც გულისხმობს მასობრივ მკვლელობებს (მაგალითად, ბოლონიის ტერაქტი იტალიაში 1980 წელს, ოკლაჰომას ტერაქტი ამერიკაში 1995 წელს). თუმცა, ულტრამემარჯვენეების მიერ ჩადენილ ძალადობასა და ტერორისტულ აქტებს ზოგადად სიკვდილიანობის დაბალი მაჩვენებელი ახასიათებს. ხშირ შემთხვევაში ადგილზე მყოფთა მხოლოდ 1% იღუპება თუ თავდასხმა მომაკვდინებელია. ასე რომ, უფრო ფართო მასშტაბისა და მაღალი მომაკვდინებლობის მქონე ჯიჰადისტური ტერორიზმის ჩრდილში ყოფნის გამო, ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმს უსაფრთხოების დღის წესრიგში ნაკლებად ითვალისწინებდნენ. თუმცა ულტრამემარჯვენე აქტივისტების მიერ მცირემასშტაბიანმა, მაგრამ ხშირმა თავდასხმებმა ასეულობით მიგრანტის სიცოცხლე იმსხვერპლა 2006-2010 წლებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ულტრამემარჯვენე ექსტრემისზმს უფრო მეტი ადამიანი ემსხვერპლა, ვიდრე ჯიჰადისტურს. ხოლო ნორვეგიაში 2011 წლის და ქრაისთჩერჩში 2019 წლის ტერაქტებმა აჩვენეს, რომ ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მყოფ მარტოხელა აქტორებს აქვთ სურვილი და შესაძლებლობა, იმსხვერპლონ ბევრი ადამიანის სიცოცხლე. მასობრივი მკვლელობების ინციდენტები უკვე აღარ წარმოადგენს გამონაკლისს, არამედ ახალ სტანდარტადაც კი ევლინება ულტრამემარჯვენე ექსტრემისტების ახალ თაობას. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მარტო მოქმედებენ, ერთმანეთთან ინარჩუნებენ კავშირს ვირტუალური საზოგადოებების საშუალებით, სადაც იღებენ შთაგონებასაც და ცდილობენ მკვლელობები თავიანთი უნიკალური გზებით განახორციელონ.

რაც შეეხება კონცეფციურ განმარტებას, ტერმინები ულტრამემარჯვენე, რადიკალური მემარჯვენეობა და სიძულვილის შემცველი დანაშაული ხშირად გამოიყენება ერთმანეთის ჩამნაცვლებლად, თუმცაღა მნიშვნელოვანია მათი სწორ კონტექსტში მოხსენიება, რათა თავიდან ავირიდოთ გაურკვევლობა. ტერმინები მემარცხენე და მემარჯვენე სათავეს საფრანგეთის რევოლუციიდან იღებს და მჭიდრო კავშირშია ეგალიტარიანიზმთან. მემარცხენეებისაგან განსხვავებით, რომლებიც მოწოდებულნი არიან, შეამცირონ უთანასწორობა საზოგადოებაში, მემარჯვენეები უთანასწორობას სწორ და ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევენ, ტრადიციური, კონსერვატიული მემარჯვენე პოლიტიკური სივრცის კიდევ უფრო მარჯვნივ კი მდებარეობს ულტრამემარჯვენეობა. ეს უკანასკნელი ავტორიტარიანიზმითა და ნატივისტური ნაციონალიზმით ხასიათდება. რადიკალური მემარჯვენე და ულტრამემარჯვენე სპექტრი განსხვავდება დემოკრატიისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისითაც: ექსტრემისტები დემოკრატიაზე უარს ამბობენ და ძალადობრივ მეთოდებს ლეგიტიმურად ცნობენ. გამოყოფენ ულტრამემარჯვენეობის 3 ძირითად „ოჯახს“: კულტურული ნაციონალიზმი, ეთნიკური ნაციონალიზმი და რასობრივი ნაციონალიზმი. კულტურული ნაციონალიზმის მიმდევრები მეტწილად წარმოდგენილნი არიან პოპულისტური პოლიტიკური პარტიების სახით, რომლებიც მიგრანტების ან ისლამის წინააღმდეგ მოქმედებენ. მათი ქმედებები, როგორც წესი, დემოკრატიული ჩარჩოს ფარგლებშია და არ ახალისებს ძალადობას, თუმცა შეიძლება განსხვავდებოდეს რადიკალიზაციის ხარისხით. ზოგიერთმა აქტივისტმა შესაძლოა ძალადობრივი რიტორიკა გამოიყენოს, მოიხსენიოს ოპონენტი, როგორც მოღალატე, თუმცა ეს ჯგუფები მეტწილად მაინც არა რასობრივ, არამედ კულტურულ განსხვავებებზე ორიენტირებულნი რჩებიან. მაგალითად, ამტკიცებენ, რომ ისლამი არ არის თავსებადი დასავლურ ქვეყნებთან და საზოგადოებებთან, ემხრობიან ასიმილაციას და ა.შ. ბოლო წლებში, ზოგიერთმა კულტურულმა ნაციონალისტურმა ჯგუფმა ისეთი ლიბერალური ღირებულებებიც მიიღო, როგორიცაა ქალთა უფლებები და სექსუალური უმცირესობების უფლებები, რომლებსაც საფრთხე ემუქრებათ ისლამის მიერ დასავლური სამყაროს დაპყრობის შემთხვევაში.

შემდეგ კატეგორიას ეთნიკურ ნაციონალისტებს ვუწოდებთ, რომლებიც ევროპაში იდენტობაზე კონცენტრირებული ულტრამემარჯვენე, ხოლო ამერიკაში ალტერნატიული მემარჯვენე ჯგუფებისგან შედგება. ისინი, როგორც წესი, რასაზე საუბარს თავს არიდებენ და ნაკლებად სტიგმატიზირებულ კონცეფციას, ეთნიკურ იდენტობას იყენებენ. ამასთან, აღნიშნავენ, რომ ყველა ჯგუფს, თეთრკანიანი ადამიანების ჩათვლით, აქვს თვითრეალიზაციის თანაბარი უფლება და ეთნიკური მრავალფეროვნებისა და უნიკალური ნორმებისა და ქცევის წესების შენარჩუნების მიზნით ეთნიკური ჯგუფები განცალკევებულნი უნდა დარჩნენ - ეთნიკური აღრევა საზიანოდ მიიჩნევა. ამას ზოგი ეთნიკურ პლურალიზმს უწოდებს ან მოიხსენიებენ, როგორც აპარტეიდსაც. იდენტობაზე დაფუძნებული ჯგუფები უარს ამბობენ ლიბერალურ შეხედულებებზე და ხშირად კონსერვატიულ ხედვებს უჭერენ მხარს ისეთ თემებზე, როგორიცაა გენდერული როლები. საინტერესოა, რომ ეთნიკური ნაციონალისტები მტკიცედ ეწინააღმდეგებიან იმიგრაციას და მხარს უჭერენ ე.წ "დიდი ჩანაცვლების" კონსპირაციულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ლიბერალური მმართველი ელიტა მიზანმიმართულად

ანაცვლებს ადგილობრივ ევროპელებს. მათ მიხედვით, ამ პროცესის შესაჩერებლად აუცილებელია ყველა ან უმრავლესობა უცხოელი იმიგრანტისა დაუბრუნდეს თავის სამშობლოს. ეს თეორია აიტაცა ზოგიერთმა კულტურულმა და რასობრივმა ნაციონალისტმაც და მოხვდა ქრაისთჩერჩის თავდასხმაში მონაწილე ტერორისტების მანიფესტის თავფურცელზეც. ასე რომ ამ თეორიას ნამდვილად ჰქონდა გავლენა ულტრამემარჯვენე ფრთის როგორც უფრო ზომიერ, ისე - მილიტარისტულ ერთეულებზე.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, აქ ულტრამემარჯვენე მოძრაობის ელემენტები შეიძლება მივიჩნიოთ ამერიკული ეთნონაციონალიზმის ვერსიად. თუმცაღა, ბევრი ულტრამემარჯვენე მოძრაობა ხშირად ასოცირდება თეთრ სუპრემატისტულ კულტურასთან და რასობრივ საუბრებთან. ისინი ხშირად თავს წარადგენენ თეთრ ნაციონალისტებად. აღნიშნული ჯგუფები განსაკუთრებით გაძლიერდა ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ, მითუმეტეს იმის ფონზე, როდესაც მათ ზოგიერთ ხედვას თეთრ სახლშიც უჭერდნენ მხარს. მაშინ, როდესაც ამერიკული ნაციონალიზმი მეტწილად ეთნიკური და რასობრივია, ევროპული ნაციონალიზმი უფრო კულტურული ასპექტისკენ იხრება. ასე რომ, ეთნო ნაციონალისტური ჯგუფები მეტწილად უარს ამბობენ ძალადობის გამოყენებაზე, თუმცა დავობენ ისეთ კონცეფციებზე, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, დემოკრატია, ამასთან ზოგიერთი მათ შეხედულება ექსტრემისტულია.

მესამე კატეგორიაა რასობრივი ნაციონალიზმი, რომელიც რასობრივ სიწმინდეზეა დაფუძნებული და კეთილგანწყობილია ტოტალიტარული შეხედულებებისადმი. იდეოლოგიურად რასობრივი ნაციონალისტები საზრდოობენ თეთრი სუპრემატიზმის სოციალისტური, ფაშისტური და რელიგიური დოგმებით. მათი ხედვები, მეტწილად, ანტისემიტურ თეორიებზეა დაფუძნებული (მაგალითად ებრაელები ხელს უწყობენ მიგრაციას, ეგალიტარიანიზმს რასობრივ აღრევას, რათა გაანადგურონ თეთრი რასა). რასობრივი ნაციონალიზმი მკაცრად უარყოფს ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის ფუნდამენტურ პრონციპებს და სასურველი დღის წესრიგის დასამყარებლად ძალადობას აუცილებლად თვლის. ამ „ოჯახის“ წარმომადგენლები რასობრივ ომს გარდაუვლად მიიჩნევენ და თვლიან, რომ სხვა რასა განადგურებული უნდა იყოს ან გაძევებული ქვეყნიდან. ულტრამემარჯვენეობის ამ სამი „ოჯახის“ მსგავსი კატეგორიზაცია იძლევა უფრო დეტალური დაკვირვების საშუალებას და მარტივად ხსნის, თუ ვინ შეიძლება გამოიყენოს ძალადობა. მსგავსი ძალადობრივი ულტრამემარჯვენე ერთეულები ხშირად განლაგებულნი არიან მემარჯვენე იდეოლოგიის ზღურბლზე, მაგალითად, როგორიცაა ნეონაცისტური ან ფაშისტური დაჯგუფებები.

ტერმინი ულტრამემარჯვენე ძალადობა უფრო დიდი რაოდენობის თავდასხმებს აერთიანებს, ვიდრე ულტრამემარჯვენე ტერორიზმი. ასე რომ, ნებისმიერი უმცირესობის წინააღმდეგ დაგეგმილი ძალადობა, ვანდალიზმიც კი, საბოლოო ჯამში, ერთიანდება ულტრამემარჯვენე ძალადობის ქოლგის ქვეშ. იმისათვის, რომ თავდასხმა ულტრამემარჯვენე ტერორიზმი გახდეს, ის წინასწარ უნდა იყოს დაგეგმილი და მიზნად უნდა ისახავდეს პოლიტიკის შედეგებზე გავლენის მოხდენას ფართო საზოგადოებაში შიშის დანერგვის გზით.

საკითხის უფრო გასართულებლად შეგვიძლია შემოვიტანოთ მესამე კონცეფცია - სიძულვილის დანაშაული, რომელიც მოიცავს, როგორც ზემოთ ხსენებულ ორივე კონცეფციაში შესულ დანაშაულებს, ისე შეიძლება შეიცავდეს სხვა ქმედებასაც - სიძულვილის ენას, ან რასობრივი ნიშნით შევიწროებას. სიძულვილის დანაშაული სამართლებრივ ტერმინს წარმოადგენს და გულისხმობს დანაშაულს რასობრივი, ეთნიკური, სექსუალური ან უნარებთან დაკავშირებული ნიშნით. საინტერესოა, რომ უმცირესობების წარმომადგენლებს ზუსტად სიძულვილის დანაშაულის შესახებ არსებული კანონმდებლობა იცავს ბევრ ქვეყანაში. თუმცა, 23 ევროპულ ქვეყანაში სექსუალურ უმცირესობებს სიძულვილის დანაშაულის საკანონმდებლო ჩარჩო არ იცავს, რასაც შეცდომას ნამდვილად ვერ დავარქმევდით. პოლიტიკური პარტიები სხვადასხვა ქვეყანაში ძალიან დიდ როლს თამაშობენ იმის განსაზღვრაში თუ რომელი უმცირესობათა კატეგორია დაემატება ამ საკანონმდებლო ჩარჩოს. ამ საკითხს ართულებს ის ფაქტიც, რომ ხშირად სიძულვილის დანაშაული ჩადენილია იმ ადამიანების მიერ, რომლებიც მემარჯვენე იდეოლოგიით მოტივირებულნი არ არიან. ხშირად ჯგუფები, რომლებიც სიძულვილის დანაშაულის მსხვერპლნი ხდებიან, თავადაც ჩადიან მსგავს დანაშაულს. ბევრი ანტისემიტური დანაშაული არა ულტრამემარჯვენე ჯგუფების, არამედ მუსლიმების მიერ არის განხორციელებული. ასევე არსებობს ულტრამემარჯვენე ტერორისტული აქტები, რომლებიც სამართლებრივად სიძულვილის დანაშაულის კატეგორიაში არ გადის. მაგალითად, 2011 წლის თავდასხმა ნორვეგიაში. მეორე მხრივ, ქრაისთჩერჩის თავდასხმა სამივე კატეგორიას - სიძულვილის დანაშაული, ულტრამემარჯვენე ძალადობა, ულტრამემარჯვენე ტერორიზმი - აკმაყოფილებს. ამ ტერმინების არამკაფიო განმარტება იწვევს დაბნეულობას. ბოლო პერიოდში, ძირითად თავდამსხმელებს მარტოხელა მგლები წარმოადგენენ. გამომდინარე იქიდან, რომ ამ ადამიანებმა ქუჩებიდან ინტერნეტში გადაინაცვლეს და ინსპირაციას ინტერნეტში შექმნილი

საზოგადოებებიდან იღებენ, მათი იდენტიფიცირება, შესაბამისად ინტერვენცია და პრევენცია უფრო რთული გახდა.

დღესდღეობით, შეინიშნება ულტრამემარჯვენეობის ფენომენის გლობალურად წარმოჩენის მცდელობა, თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ახალი ტენდენცია არაა. ჯერ კიდევ ფაშიზმი და ნაციზმი იყო გავრცელებული მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში. ასევე კარგი მაგალითია სკინჰედები. არსებობს შემთხვევები, როდესაც გერმანიაში შობის ღამეს მიგრანტებმა სექსუალურად შეავიწროვეს გერმანელი ქალი, რამაც პანიკა გამოიწვია და შედეგად კვირებში გავრცელდა მსგავსი იდეოლოგია აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. ამას გარდა, კარგი მაგალითია ჯარისკაცების ორდენი ფინლანდიიდან, რომელიც 2015 წლიდან მოქმედებს, ასევე ქრაისჩერჩი. ეს ყველაფერი აჩვენებს, რომ გლობალიზაცია ახალი ფენომენი არ არის, მაგრამ ახლა უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ადრე და ამაში წვლილი ინტერნეტსა და მედიას მიუძღვის.

ზოგადად, სოციალურმა მედიამ ულტრამემარჯვენე პოლიტიკის პოპულარიზაციის მხრივ არსებული სურათი კარდინალურად შეცვალა. რადიკალური ხედვები ნაკლებად ზიარდება ადგილობრივ თემში, თუმცა ეს მარტივად ხდება Facebook-ზე. შედეგად კი ვიღებთ ტრანსნაციონალურ მოძრაობებს, რომლებიც ძალიან სახიფათოა. მსგავს ქსელებში ბევრი მარგინალიზირებული ადამიანი რეკრუტირდება სხვადასხვა პლატფორმით. ზოგიერთი ექსტრემისტი სათამაშო პლატფორმებსაც კი იყენებს ექსტრემისტული ხედვების ნორმალიზაციისთვის. სოციალური მედიით შეიძლება სხვადასხვა საკითხების ორგანიზება. მაგალითად, ე.წ Crowdfunding, რომლითაც იტალიური ჯგუფები მიგრანტების წინააღმდეგ იღებდნენ დაფინანსებას. ულტრამემარჯვენე ჯგუფებს ასევე შეუძლიათ ერთმანეთს დაუკავშირდნენ, რაც წარსულში მოგზაურობასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ახლა საქმეების უმრავლესობა ინტერნეტით გვარდება, რაც უფრო სწრაფი და მარტივია. ჩვენ იმის მაგალითებიც გვაქვს, თუ როგორ ქმნიან და შემდეგ იყენებენ კომპიუტერულ თამაშებს რადიკალური ჯგუფები ნარატივებისა და შეხედულებების გასავრცელებლად და ზემოქმედებისთვის, რამაც ყველაფერი კიდევ უფრო გაართულა.

ბოლოს, განხილულ საკითხებთან დაკავშირებით შეგიძლიათ გაეცნოთ ოსლოს უნივერსიტეტის ექსტრემიზმის კვლევითი ცენტრის (C-REX) საიტს, სადაც მოიპოვება წვდომა ყოველწლიურ ანგარიშებსა და კომპენდიუმზე, მოკლე სტატიებსა და ლიტერატურაზე.

ენ სპეკჰარდი

დოქტორი ენ სპეკჰარდი ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ფსიქიატრიის მიმართულების ასოცირებული პროფესორია. ენს ჩატარებული აქვს ინტერვიუები 700-ზე მეტ ტერორისტ მებრძოლთან, მათი ოჯახის წევრებთან და მხარდამჭერებთან, მსოფლიოს სხავადასხვა კუთხიდან - მათ შორის დასავლეთ ევროპიდან, ბალკანეთის ქვეყნებიდან, ცენტრალური აზიიდან, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. ბოლო 5 წლის განმავლობაში ენ სპეკჰარდს ჩატარებული აქვს 250-ზე მეტი სიღრმისეული ინტერვიუ დაეშის დეზერტირებთან, რეპატრიანტებთან და წარსულში ტერორიზმის ბრალდებით ნასამართლევ პირებთან.

დისკუსიის ჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://youtu.be/VqcVrA0SwPQ

ხშირად ძალადობრივ ექსტრემიზმთა მიმართებით გენდერზე საუბარი დაბნეულობასა და წინააღმდეგობასაც კი იწვევს. დღესდღეობით, ძალადობრივი ტერორიზმის არსის გასაგებად უკვე ვიყენებთ გენდერულ ლინზას, რომლის გამოყენების მიზეზადაც შეგვიძლია დავასახელოთ სამეცნიერო დარგში მამაკაცების დომინირება, როდესაც ქალები ძირითადად იგნორირებულნი არიან და აღიქმებიან სენსაციურ მოვლენად. ამიტომ, დიდი ხნის განმავლობაში ტერორიზმთან დაკავშირებით ვიყენებდით სენსაციურ შეხედულებას, თითქოს ქალებს არ ჰქონდათ ძალადობის გამოყენების უნარი, მიყვებოდნენ მამაკაცებს ისე, რომ არ იცოდნენ, თუ რაში ერთვებოდნენ და ა.შ. რა თქმა უნდა, არც ერთი მსგავსი შეხედულება ახლოს არ არის რეალურ სურათთან. აღსანიშნავია, რომ გაეროს ქალთა ორგანიზაცია ახალისებს მკვლევრებს მონაცემების შეგროვებისას დააკვირდნენ გენდერულ ტენდენციებს. შედეგად ისმის მნიშვნელოვანი კითხვა - უნდა განსხვავდებოდეს პრევენციის ზომები გენდერული ნიშნით? არსებობს თუ არა სიტუაციები, როდესაც ქალებმა უნდა გააკეთონ ესა თუ ის საქმე მამაკაცების ნაცვლად? ან არიან მამაკაცები კარგნი ერთ ასპექტში და ქალები - მეორეში? მაგალითისთვის, იორდანიის პრინცესა აიშამ მოახერხა ქალებისთვის სპეცრაზმში გაწევრიანების პრივილეგიის მოპოვება და ამ ქალებმა შემდგომში სამეფო ოჯახის წევრების სიცოცხლე გადაარჩინეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექსტრემისტულ ორგანიზაციებშიც ვხვდებით გენდერული ნიშნით დანაწილებულ როლებს. ადრეულ წლებში არსებობდნენ ტერორისტული ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავდათ ქალები ლიდერების როლში. მაგრამ სამხედრო ჯიჰადისტების ტიპის ტერორისტული დაჯგუფებები, მაგალითად, დაეში, ალ-კაიდა, ალ-ქაბააბი, ბოკო ჰარამი და სხვ. გამოირჩევიან მამრობითი სქესის დომინაციით, შესაბამისად, ქალები აქ იშვიათად აღწევენ ლიდერის პოზიციებამდე. იგივე სიტუაციაა პალესტინელთა შორის. თუმცაღა, მაგალითად ჩეჩენი თვითმკვლელი ტერორისტების ჯგუფი თავიდანვე შედგებოდა 50% ქალი და 50% კაცისაგან. ისინი ხშირად დადიოდნენ წყვილებად, რათა თვალი აეხვიათ უსაფრთხოების სერვისისთვის. პალესტინური დაჯგუფებების უმეტესობა ქალების სურვილს, გამხდარიყვნენ რეალური მებრძოლები, თავდაპირველად უარყოფდნენ. თუმცა, მოგვიანებით დაიწყეს ქალების გამოყენება, რამდენადაც გამშვები პუნქტის გადაკვეთა ამ უკანასკნელთათვის ბევრად მარტივი იყო, ვიდრე კაცებისთვის. იგივე მოხდა ალ-კაიდასა და ერაყთან დაკავშირებითაც. როდესაც საჭიროება გაჩნდა, დავინახეთ თუ როგორ დაიწყეს ქალების გამოყენება თვითმკვლელ ტერორისტებად, როგორ მალავდნენ ბურკის ქვეშ ასაფეთქებელ მოწყობილობებს, ქალებს აგზავნიდნენ სამხედრო და მილიციის მომზადების არეალში და ა.შ. იგივე გააკეთა დაეშმაც. ალ-ბაღდადმა გამოსცა ფატვა, რომლის მიხედვითაც ქალებს არ სჭირდებოდათ მათი ქმრებისა და მამებისგან ნებართვის აღება, რათა დაეშის რიგებს შეერთებოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ დაეშს ბევრი როლი ჰქონდა ქალებისთვის. როდესაც უცხოელი ქალები შეუერთდნენ ორგანიზაციას, ისინი საუბრობდნენ სხვადასხვა ენაზე. აქ იყვნენ 110 ქვეყნის წარმომადგენლები, 40 000 უცხო ქვეყნის მოქალაქე ჩავიდა დაეშის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, საიდანაც დაახლოებით 20-25% ქალი იყო. დაეშს სჭირდებოდა ქალები, რადგან სწორედ ისინი აშენებენ სახელმწიფოს, ოჯახს და ქმნიან სტაბილურობის შეგრძნებას. ზოგიერთი ქალი ჩართული იყო მედიის საქმიანობაში, როგორც ბლოგერები, ზოგიერთი სხვებთან კონტაქტზე გადიოდა მათსავე ენაზე, ქორწინების შესათავაზებლად, მათთან სასაუბროდ და დასარწმუნებლად, ინტერნეტის საშუალებით დასაქორწინებლად და ა.შ. სხვა შემთხვევაში ქალებს ათავსებდნენ მადაჰებში, იგივე სასტუმრო სახლებში, სადაც უნდა მოეცადათ სამხედრო წვრთნებიდან დაბრუნებული ქმრებისთვის. შესაბამისად, მათი დანიშნულება ოჯახის შექმნა იყო. ზოგიერთი ქალი, თუმცა არა უმრავლესობა, ცდილობდა გამხდარიყო სამხედროც. უმეტესობა კი დიასახლისი იყო. შეიძლება ითქვას, რომ დაეში, ალ-კაიდა, ალ-შაბააბი უბრუნდებიან ისლამის სალაფისტურ იდეოლოგიას, რაც გულისხმობს წინასწარმეტყველისა და მისი პირველი თაობის კომპანიონების მიმდევრობას. შესაბამისად, მათი იდეოლოგია ქალებთან დაკავშირებით ძალიან კონსერვატიულია. ქალები უნდა იყვნენ სახლში და ელოდებოდნენ კაცებს. ეს კონსერვატიული ისლამის ნაწილია, რაც არ არის აუცილებელი მახასიათებელი თვისება ტერორისტული ორგანიზაციისათვის, მაგრამ შემოტანილია მოგვიანებით და ჰყავს მიმდევრები და მკაცრად არის აღსრულებული.

დროთა განმავლობაში, ვიხილეთ ქალების როლთან დაკავშირებული ცვლილებები დაეშში. ასეთია, მაგალითად, ქალების გაწევრიანება ჰისბაში. ჰისბა თავიდან იყო სრულიად კაცებისგან შემდგარი მორალის პოლიცია. თუმცაღა, ადგილობრივი მოსახლეობის გაუცხოების გამო, აღნიშნულ ერთეულში დაუშვეს ქალებიც, რომლებიც ასევე გამოირჩეოდნენ სისასტიკით.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაეშსს ჰქონდა სპეციფიკურად ქალებზე ზეგავლენის მოსახდენად და მათ ორგანიზაციაში მოსაზიდად შემუშავებული სტრატეგიაც. დაეში ქალებს არწმუნებდა, რომ კონსერვატიულ ისლამს მისდევდა. შესაბამისად, ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდეგ მათ ეყოლებოდათ „დები“, შეეძლებოდათ ტრადიციული ცხოვრების

წესით ეცხოვრათ, არავინ შეავიწროებდათ ნიქაბის ტარების გამო. ქალებს ჰპირდებოდნენ, რომ დაეშში გაწევრიანებით და მათთან შეერთებით სირიაში, ისინი მიიღებდნენ პატივისცემას. მათ ასევე ჰპირდებოდნენ, რომ მოექცეოდნენ, როგორც პროფესიონალებს, გადაამზადებდნენ, რათა ჰქონოდათ პროფესიული ცხოვრება. თუმცაღა, მსგავსი დაპირებები სიმართლეს არ შეესაბამებოდა. მეტიც, ბევრ ქალს ეშინოდა, მათი ვაჟები არ გაეტაცებინათ და ბავშვ-ჯარისკაცებად არ ექციათ. დაეშმა ასევე მიმართა ფლირტის საშუალებასაც ქალების მოსაზიდად. ქალებთან მიმართებით მნიშვნელოვანია სიღრმისეულად გავარკვიოთ, თუ რომელ სპექტრს ეკუთვნის და ამის საფუძველზე ჩავერიოთ. შესაძლებელია, იმაზე რადიკალიზებული იყოს, ვიდრე მისი ქმარი და მნიშვნელოვანია მასაც განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ და არა მხოლოდ კაცს მივუსაჯოთ სასჯელი, ან გავლენის ქვეშ იყოს მოქცეული ადრეული ასაკიდანვე, ასევე ზოგიერთ მათგანს ნათესავები თვალწინ დაუხოცეს და არასოდეს დაუბრუნდებიან დაეშს.

რაც შეეხება ბავშვებს, დაეში მათ იტაცებდა. მიდიოდნენ ქალაქებში, ამოწმებდნენ იქ მცხოვრებ ბავშვებს და სახალიფოში ხშირად მოტყუებითაც აწევრიანებდნენ. ბევრი ერაყელი თინეიჯერი ბანაკებში წავიდა, რადგან ქუჩებსა და მეჩეთებში მქადაგებლებისგან ესმოდათ დაპირებები იარაღის მიცემისა და მანქანის ტარების შესაძლებლობის შესახებ. ბევრს საკვების ნაკლებობა ჰქონდა ოჯახში და ჰპირდებოდნენ, რომ ბანაკში უკეთესად გამოიკვებებოდნენ. ბავშვებს ასწავლიდნენ, რომ არაფერი იყო იმაზე მშვენიერი, ვიდრე ალაჰისთვის სიცოცხლისა და სხეულის შეწირვა, ეუბნებოდნენ, ღილაკზე ხელის დაჭერის შემთხვევაში მაშინვე მოხვდებოდნენ სამოთხეში, ხშირად იყენებდნენ თვითმკვლელ ტერორისტებად, რადგან მსგავსი დაპირებებით მათი დარწმუნება მარტივი იყო. ბავშვებს თავებსაც აკვეთინებდნენ, ზოგიერთი ამის გამო ალკოჰოლდამოკიდებული გახდა. ასევე იყენებდნენ, როგორც ჯაშუშებს. ერაყის მთავრობამ შეძლო 2015-16 წლებიდან მოყოლებული დაეთვალა, რამდენი ბავშვი ცხოვრობდა დაეშის გავლენის ქვეშ, თუმცა არა აუცილებლად სახალიფოს ბანაკებში. ამ ბავშვებთან მუშაობის დროს იკვეთება, რომ ზოგიერთი მათგანი, ძირითადად ბიჭები, გამოირჩევიან ჰიპერაქტიურობით, აგრესიით, რაც უკავშირდება მათ მძიმე გამოცდილებას, გოგოები კი უფრო მეტად დისოციაციური ქცევებით. ზოგადად, აღსანიშნავია რეპატრირებულ პირებთან ინდივიდუალური მიდგომისა და წინასწარი დაგეგმვის მნიშვნელობა. ბევრ მათგანს მართლაც სურს, იყოს კარგი მუსლიმი, თუმცაღა არ მიუწვდება ხელი მართებულ ინფორმაციასა და ცოდნაზე. ასევე, განსხვავებულ გამოვლინებებს პოვებს მიღებული ტრავმა და სტრესი. რა თქმა უნდა, რთულია იმაზე საუბარი, ოდესმე დაუბრუნდებიან თუ არა ეს ადამიანები პირვანდელ მდგომარეობას, განსაკუთრებით კი ბავშვები.

ბოლოს, განხილულ საკითხებთან დაკავშირებით მკითხველს შეუძლია გაეცნოს ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევის საერთაშორისო ცენტრთან და ჯორჯთაუნის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავებულ დოკუმენტს, „ლეტალური კოქტეილი - ტერორისტის ჩამოყალიბების ოთხი ძირითადი ინგრედიენტი“.

მომხსენებლის მიერ რეკომენდირებული ლიტერატურა:

სპეკჰარდი, ა. (2016). ლეტალური კოქტეილი - ტერორისტის ჩამოყალიბების ოთხი ძირითადი ინგრედიენტი. ძალადობრივი ექსტრემიზმის კვლევის საერთაშორისო ცენტრი.

გორდონ ქლაბი

დოქტორი გორდონ ქლაბი ლიდსის უნივერსიტეტში საერთაშორისო უსაფრთხოების ლექტორია. მისი კვლევა მეტწილად ორიენტირებულია დერადიკალიზაციასა და ყოფილი ძალადობრივი ექსტრემისტების როლზე ძალადობრივი აქტივობის აღკვეთის პროცესში. მან სულ ახლახანს გამოაქვეყნა წიგნი დერადიკალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამჟამად გორდონი იკვლევს საზოგადოებრივ მხარდაჭერას ყოფილი ტერორისტების რეაბილიტაციის და რეინტეგრაციის პროცესის მიმართ. გორდონი თანაავტორია ფუნდამენტური ნაშრომის - ტერორიზმი და პოლიტიკური ძალადობა.

დისკუსიის ჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://youtu.be/Suq5GCVXwb8

ძალიან ხშირად სახელმწიფოები სათანადოდ ვერ აფასებენ იმ ძალისხმევას, რომელიც საჭიროა ექსტრემისტების დერადიკალიზაციისა და რეინტეგრაციისთვის. ან, შესაძლოა, საკმარისად კარგად ვერ ხედავენ ყოფილი ექსტრემისტების როლისა და გამოცდილების მნიშვნელობას სამომავლოდ გამოყენების პერსპექტივაში. დერადიკალიზაციის პროგრამების შემუშავება 2000-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო, რაც უკავშირდებოდა ტერორიზმთან გლობალურ ომს. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, აშკარაა, რომ ტერორიზმიდან ყურადღების ვექტორი ექსტრემიზმზე გადავიდა. ამ საკითხზე საუბრისას მნიშვნელოვანია სწორად განვსაზღვროთ, განვიხილავთ ზოგადად ექსტრემიზმის კონცეფციას, თუ პირებს, რომლებსაც დანაშაულებრივი წარსული და ძალადობრივი ექსტრემიზმის გამოცდილება აქვთ. სირიაში არსებულმა ვითარებამ ახალი ბიძგი მისცა დერადიკალიზაციის პროგრამებს. დაეშის მაგალითმა დაგვანახა, რომ საქმე მხოლოდ უცხოელ და ადგილობრივ ტერორისტ მებრძოლებსა და მათი რეპატრიაციისა და რეინტეგრაციის პროგრამებს არ ეხება. ამას გარდა, სახეზე გვქონდა მაგალითები უცხოელი ტერორისტი მებრძოლების იმ ნათესავებისა და ოჯახის წევრებისა, რომლებიც იზიარებდნენ ტერორისტული ორგანიზაციის იდეოლოგიას და ამა თუ იმ ფორმით ჩართულნი იყვნენ მათ საქმიანობაში. მსგავსი ადამიანების არსებობამ განაპირობა ამ პროგრამების გაფართოება, რათა მათაც დავხმარებოდით, დაბრუნებოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვეულ წესს. ასე რომ, დერადიკალიზაციისა და რეინტეგრაციის კონცეფციებმა თითქოს გარკვეული უსაფრთხოების შეგრძნება გააჩინა, მაგრამ დაგვანახა ისიც, რომ მეტი ყურადღება უნდა გამოგვეჩინა იმასთან დაკავშირებით, თუ ვის მოვიხსენიებთ ტერორისტად ან ძალადობრივ ექსტრემისტად. შეიძლება ითქვას, რომ წარსულის გამოცდილების გათვალისწინებით, დღესდღეობით მთავარ გამოწვევებს წარმოადგენს სწორედ კონცეფციები, სხვადასხვა ტერმინი და პროგრამა, რომელიც შემდგომ ამ კონცეფციებზე დაყრდნობით იქმნება.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც სახელმწიფოები ხშირად აწყდებიან არის იდეოლოგიურად მემარჯვენე ფლანგზე მყოფი ადამიანების დერადიკალიზაცია. ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული ამგვარი რთული კონტექსტის, მზარდი ულტრამემარჯვენე რადიკალიზაციისა და ისლამისტური ექსტრემიზმის პრობლემის გათვალისწინებით, გვაქვს მზარდი რიცხვი იმ ადამიანებისა, რომლებსაც უყალიბდებათ ექსტრემისტული ხედვები და მზად არიან, ამ ხედვების შესაბამისად იმოქმედონ. ამ კონტექსტთან მიმართებით, მნიშვნელოვანია განვიხილოთ გაკვეთილები, რომლებიც ვისწავლეთ წარსულის გამოცდილებიდან, კონკრეტულად კი დერადიკალიზაციის, კულტისგან ჩამოშორებისა და განიარაღების პროგრამებიდან. დერადიკალიზაციის პროგრამებისგან განსხვავებით, რომლებიც მეტწილად ინდივიდებზეა მორგებული, გ.დ.რ (განიარაღება, დემობილიზაცია, რეინტეგრაცია) პროგრამები უკეთ ითვალისწინებს სოციალურ კონტექსტსა და არსებულ ვითარებას. დერადიკალიზაციის პროგრამების უფრო ინდივიდუალურმა მიდგომამ განსაზღვრა მისი უფრო მაღალი ეფექტურობაც. თუმცა, აღნიშნული არ ნიშნავს კონტექსტის უგულებელყოფას, გ.დ.რ პროგრამები მაღალი პრაგმატიზმით გამოირჩევა, ითვალისწინებს რა კონფლიქტის დინამიკას (რომელიც ყოველთვის განსხვავებულია). მეორე მხრივ, მსგავსი პრაგმატიზმი შეიძლება ნაკლებად სასარგებლო იყოს დერადიკალიზაციის პროგრამებისთვის, რადგანაც ეს უკანასკნელი კონცენტრირებულია იდეოლოგიურ ცვლილებაზე. ეს საკმაოდ უნიკალურია, რადგან იდეოლოგიურ ცვლილებას არ ვითვალისწინებთ გ.დ.რ პროგრამებში. ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, დერადიკალიზაციის პროგრამებზე მუშაობის პროცესი ეტაპობრივად უფრო პრაგმატული ხდება და შემუშავების პროცესში უფრო მეტადაა გამახვილებული ყურადღება პროგრამის ამოცანებზე.

საკმაოდ რთულია დერადიკალიზაციის პროგრამების წარმატებისა და ძალისხმევის შეფასება, მითუმეტეს იმის განსაზღვრა, თუ კონკრეტულად რა განაპირობებს მათ წარმატებულობას, თუმცაღა მაინც შეიძლება რამდენიმე ელემენტის გამოყოფა. პირველ რიგში, საყურადღებოა, რომ სწორედ ფუნდამენტური გამოწვევები განსაზღვრავს, რამდენად ეფექტიანად შეიძლება იმუშაოს დერადიკალიზაციის პროგრამებმა. თუ აღნიშნულს ერთგვარ საზომად გამოვიყენებთ, მაშინ ეტალონიც განსაზღვრული უნდა იყოს. რიგ შემთხვევაში, შესაძლოა სტატისტიკური მონაცემები მიგვითითებდეს, რომ ამ კუთხით ქვეყანაში კარგი მდგომარეობაა, მაგრამ საკითხის განსხვავებული რაკურსიდან შეფასების შემთხვევაში, შეიძლება დავინახოთ, რომ მოსახლეობა ნაკლებად ტოლერანტულია მსგავსი გამოცდილების მქონე ადამიანების მიმართ. მაგალითად, ასეთი შემთხვევა იყო გაერთიანებულ სამეფოში. ასე რომ, არსებობს გარკვეული პოლიტიკური ელემენტი, რომელიც აღნიშნული პროგრამის შეფასებას ართულებს. ასევე არ არის განსაზღვრული შეფასების ეტალონი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ წარმატების მოლოდინი და მისი აღქმა სხვადასხვაგვარია, რასაც თავად ტერმინი დერადიკალიზაცია განაპირობებს. დერადიკალიზაცია, როგორც ტერმინი წინასწარი შეფასების გარეშე იქნა გამოყენებული - არ არსებობდა ზუსტი ცოდნა იმასთან დაკავშირებით, თუ რას გამოიწვევდა აღნიშნული პროგრამებისთვის დერადიკალიზაციის

პროგრამების დარქმევა. შეიძლება ითქვას, თავად ტერმინი დერადიკალიზაცია იმდენად რადიკალურია, რომ საკმაოდ მაღალ მოლოდინებს ქმნის, ადამიანები ფიქრობენ, რომ შეუძლებელია ყოფილი ექსტრემისტების კარდინალურად შეცვლა. რადიკალიზაციაზე საუბრისას ვგულისხმობთ პროცესს, მაგრამ დერადიკალიზაცია განიხილება, როგორც შედეგი, რომელიც ან დადგება, ან არა. ტერმინის ამგვარი აღქმა გარკვეულწილად განსაზღვრავს მის წარუმატებლობასაც. პარადოქსულია, მაგრამ ბევრი დერადიკალიზაციის პროგრამა არ იყენებს თავად ტერმინ დერადიკალიზაციას, ხოლო ის პროგრამები, რომლებიც ამ ტერმინს იყენებენ, რეალურად შეხებაში არ არიან მასთან. ეს არის ზოგადი ასპექტი, რაც შეეხება სპეციფიკურ ასპექტს, აქ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, არის თუ არა დერადიკალიზაციის პროგრამა ნებაყოფლობითი. პროგრამების უმეტესობა ნებაყოფლობითია, რაც ინდივიდუალურ მიდგომასთან ერთად წარმატების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ასევე უმნიშვნელოვანესია პროგრამების სწორი სტრუქტურირებული, შიგნიდან (და არა გარედან) აღქმა და შეფასება. ბოლოს, საყურადღებოა რეინტეგრაციის მნიშვნელობის შესაბამისად დაფასების საკითხი. თუკი პროგრამის მონაწილის რეინტეგრაციას ვერ ვახერხებთ საზოგადოებაში, მაშინ, შეიძლება ითქვას, არც პროგრამის განხორციელებას აქვს აზრი. ასე რომ, პროგრამის წარმატებულობას ასევე განსაზღვრავს რეინტეგრაცია. აღნიშნულის კარგი მაგალითია ნიგერია, სადაც პროგრამები, რომლებიც იუწყებიან, რომ ბოკო ჰარამის ყოფილი წევრების დერადიკალიზაცია მოახდინეს, ვერ ახერხებენ ამ პირების იმ საზოგადოებაში დაბრუნებას, საიდანაც განდეგილნი არიან ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის გამო. მსგავსი სიტუაცია იყო ერაყში ოჯახებთან დაკავშირებით და გაერთიანებულ სამეფოშიც, სადაც ორმა ტერორისტულმა აქტმა ბიძგი მისცა დერადიკალიზაციის პროგრამების სერიოზული გადახედვის პროცესს. პოლიტიკური ნების ნაკლებობა მსგავსი პროგრამების დაფინანსებისა და ხელშეწყობის მიმართ (რასაც სხვა ასპექტებთან ერთად განაპირობებს ზოგიერთი პოლიტიკოსის მოლოდინი, რომ დერადიკალიზაციის პროგრამების მიმართ მკაცრად ნეგატიური მიდგომით საზოგადოების გულს მოიგებს), წარმოადგენს ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს.

კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ინვესტირებისა და რესურსის ჩადება დერადიკალიზაციის პროგრამებში, რამდენადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა სახელმწიფოს მთავრობები ხშირად არ გამოირჩევიან ამ კუთხით ენთუზიაზმით. თუკი თავად კონცეფციიდან ამოვალთ, დერადიკალიზაცია შეგვიძლია ორგვარად დავინახოთ. პირობითად შეიძლება გამოვყოთ ორი ტიპის დერადიკალიზაცია: ბუნებრივი, რომელიც თავისთავად, ჩაურევლად ხდება და მეორე, რომლის განხორციელებასაც ხელისუფლება ცდილობს - დერადიკალიზაციის პროგრამები. ამ ორი ტიპის სწორედ ეს განსხვავებული ხასიათია მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა დაუთმონ ხელისუფლებებმა მეტი ყურადღება დერადიკალიზაციას. დერადიკალიზაცია ხანგრძლივი სოციალური პროცესის სახით 20 ან 30 წელი გრძელდება. გვაქვს მაგალითები ჯგუფებისა და მოძრაობების ხანგრძლივი იდეოლოგიური ცვლილებისა და მეორე მხრივ, პროცესების, რომლის დროსაც იდეოლოგიურ ასპექტს ყურადღება არ ექცეოდა. ასე რომ, დერადიკალიზაცია ბუნებრივი პროცესია და მიმდინარეობს იმის მიუხედავად, მოსწონს თუ არა ეს ხელისუფლებას. თუმცა, მეორე მხრივ, დერადიკალიზაციის პროგრამები ერთგვარ მცდელობას წარმოადგენს აღნიშნულ პროცესზე გარკვეული მაკონტროლებელი ბერკეტის მოპოვებისა. მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიაში, აფრიკაში დერადიკალიზაციის ბუნებრივ პროცესზე ხელისუფლებები გარკვეული კონტროლის მოპოვებას ცდილობენ. ეს გამოიხატება ისეთ ნაბიჯებში, როგორიცაა საზოგადოებრივი ლიდერების დისკუსიების ხელის შეწყობა. ამრიგად, დერადიკალიზაციის პროგრამები წარმოადგენს მცდელობას, გარკვეული კონტროლი მოვიპოვოთ და მიმართულება შევძინოთ ბუნებრივ პროცესს. აღნიშნული, რა თქმა უნდა, მეტწილად ინდივიდუალურ მიდგომას აძლიერებს, თუმცა შემდეგ თუ ამ ინდივიდუალური მიდგომის შედეგების გარდაქმნას შევძლებთ სოციალურ შედეგებად, ეს მნიშვნელოვანი მიღწევა იქნება. დერადიკალიზაციის პროგრამებით სახელმწიფოებს საშუალება ეძლევათ, წვლილი შეიტანონ დერადიკალიზაციის ბუნებრივ პროცესში. კიდევ ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ უნდა გვქონდეს დერადიკალიზაციის პროგრამები, არის ის, რომ წარმატებული დერადიკალიზაცია, რომელიც გულისხმობს წარმატებულ რეაბილიტაციასაც, შემდეგ გვეხმარება უკეთესი მიდგომების ჩამოყალიბებაში სხვა კატეგორიის კრიმინალთან მიმართებით. ამიტომ, მნიშვნელოვანია დერადიკალიზაციის პროცესში მოვიაზროთ რეაბილიტაციაც, ნაცვლად იმისა, რომ იგი ცალკე მდგომ პროცესად დავინახოთ.

რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესებს აქვთ ორი ამოცანა: პირის ჩამოშორება ძალადობრივი ექსტრემისტული საქმიანობიდან (როგორც ქცევითი ცვლილება) და დერადიკალიზაცია (როგორც კოგნიტიური ცვლილება). ამის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთ-ერთის თანახმად, ქცევით ცვლილებაზე ორიენტირებული ნაბიჯები უფრო მარტივად განსახორციელებელია, ვიდრე იდეოლოგიური ცვლილებების პროვოცირება. სხვები კი

იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტის მნიშვნელობას უსვამენ ხაზს. აქ მნიშვნელოვანია შუალედის დაჭერა, რადგან დერადიკალიზაციის პროგრამების შედეგები მეტწილად თანხმობაშია ქცევით ცვლილებებთან, თუმცა თავად პროცესი გულისხმობს კოგნიტიურ ცვლილებასთან დაკავშირებულ ნაბიჯებსაც - წარმატებული დერადიკალიზაციის პროგრამისგან მოველით იდეოლოგიური შეხედულებების ცვლილებას ქცევასთან მიმართებით. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გენდერული ასპექტის განხილვაც. სტატისტიკურად, დერადიკალიზაციის პროგრამებში რეინტეგრაციის ნაწილს ნაკლები ქალი უჭერს მხარს. სამწუხაროდ, ეს ასპექტი დღეისათვის მწირედაა შესწავლილი.

ბოლოს, განხილულ თემასთან დაკავშირებით რეკომენდებული ლიტერატურაა სადი შანაას ნაშრომები გაერთიანებული სამეფოს პრევენციის მექანიზმებზე.

მომხსენებლის მიერ რეკომენდირებული ლიტერატურა:

შანაა, ს. (2019). გაუცხოება თუ თანამშრომლობა? ბრიტანელი მუსლიმების დამოკიდებულება კონტრტერორიზმსა და კონტრექსტრემიზმში ჩართულობის მიმართ. ტერორიზმი და პოლიტიკური ძალადობა 34 (1).

კოლინ პ. კლარკი

კოლინ პ. კლარკი არის Soufan Group-ის კვლევითი პროექტების დირექტორი. მისი კვლევა ყურადღებას ამახვილებს საშინაო და საერთაშორისო ტერორიზმზე, სახელმწიფო უსაფრთხოებაზე და გეოპოლიტიკაზე. Soufan Group-ში გაწევრიანებამდე, იგი Carnegie Mellon University-ში პროფესორის თანამდებობას იკავებდა იკავებდა და იყო უფროსი პოლიტიკის მეცნიერი RAND-ში, სადაც მან ათწლეული დაუთმო ტერორიზმის, აჯანყების და კრიმინალური ქსელების კვლევას. კოლინი ასევე ასოცირებული მკვლევარის პოზიციას იკავებს ICCT-ში, არის უფროსი მკვლევარი ეროვნული უსაფრთხოების მიმართულებით Foreign Affairs Institute-ში და ასოცირებული მკვლევარი ტერორიზმის და ექსტრემიზმის კვლევის საერთაშორისო ქსელში.

დისკუსიის ჩანაწერი ხელმისაწვდომია: https://youtu.be/2_1mjD64k_E

2021 წელი გამოირჩეოდა ტერორიზმისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის სფეროში მომხდარი მოვლენების სიხშირითა და მასშტაბებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის განხილვაც, თუ უსაფრთხოების რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ ახლა და ვიდგებით მომავალში. ამ საკითხებზე საუბარი შეგვიძლია დავიწყოთ ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე არსებული გამოწვევებიდან, რამდენადაც ისინი მოგვიანებით დანარჩენი სამყაროს გამოწვევებიც ხდებიან.

2021 წლის 6 იანვრის მოვლენების დროს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოცადა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. აღნიშნულში ყველაზე უარეს ასპექტსს წარმოადგენდა ის, რომ პროცესი ორკესტრირებული იყო აშშ-ს იმდროინდელი და დღეს უკვე ყოფილი პრეზიდენტის მიერ. ამ პროცესების წახალისება მოხდა უმცირესობათა ჯგუფების მარგინალიზაციის წაქეზებითა და გარკვეული ტერმინების გამოყენებით. ასე რომ, გასაკვირი არც ყოფილა დონალდ ტრამპისადმი ამხელა მხარდაჭერა. თუმცა, მაინც მოულოდნელი იყო იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც პოლიტიკურ ძალადობაში აქტიურად ჩაერთნენ. დღეისათვის 6 იანვრის მოვლენებთან დაკავშირებით 600-მდე ადამიანს აქვს სასჯელი მისჯილი. აქედან მივიღეთ გაკვეთილი, რომ დემოკრატია მყიფეა და განათლება, როგორც სასკოლო, ისე სახელისუფლებო, სერიოზულად გვჭირდება. ისეთი სამხედრო შეიარაღებული ჯგუფის წევრებსაც კი, როგორიც 3 Percenters-ია, სჯერათ მითის, რომ ამერიკელების მხოლოდ 3% იბრძოდა დამოუკიდებლობისთვის. აქედან გამომდინარეობს ციფრული წიგნიერების საჭიროება, რათა ადამიანებმა შეძლონ რეალურის არარეალურისგან გარჩევა.

6 იანვრის პროცესებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამხედრო შეიარაღებული ჯგუფები Oathkeepers, 3 Percenters, Proud Boys. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, დაახლოებით 12% იმ პირებისა, რომლებმაც იურიდიული სასჯელი მიიღეს, დაკავშირებულნი იყვნენ ამ ჯგუფებთან, ხოლო დანარჩენი, დაახლოებით 90%, წარმოადგენდნენ ე.წ თავისუფალ აგენტებს. ყველა მათგანი არ არის ეჭვმიტანილი თავდასხმაში, ამიტომ არ ვიყენებთ ტერმინს მარტოხელა თავდამსხმელი ან მარტოხელა მგლები. თუმცაღა, მაინც, ჩვენ ნათლად ვიხილეთ, თუ რამდენად ვრცელია მსგავსი პირების ეკოსისტემა (ანტისემიტები, ნეონაცისტები და ა.შ.). აქ პარალელის გავლება შეიძლება ჯიჰადისტურ ექსტრემიზმთან და შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბევრი ადამიანი რომელიც 6 იანვრის მოვლენებში მონაწილეობდა მოტივირებული იყო ჯიჰადისტური ექსტრემიზმისთვის დამახასიათებელი მამოტივირებელი კონსპირაციული თეორიით - დიდი ჩანაცვლების თეორიით. სხვადასხვა ქვეყანაში ეს თეორიული კონცეფცია სხვადასხვა შედეგს იწვევს, რაც ვნახეთ ქრაისთჩერჩსა და ელ-პასოს ტერაქტების დროს. აღნიშნულ ტერაქტებში მონაწილე თავდამსხმელები ისეთივე ლექსიკას იყენებდნენ, როგორსაც დონალდ ტრამპი. ქვეყანაში ბევრი გამოწვევა და მამოტივირებელი ფაქტორი შეინიშნება. რობერტ პეიპი თავის ნაშრომში, რომელიც ჩიკაგოს უნივერსიტეტში დაწერა, ხაზს უსვამს, რომ თეთრკანიანი დაკავებული პირები იმ ადგილებიდან იყვნენ, სადაც თეთრკანიანი მოსახლეობის დემოგრაფიული კლება და სხვა რასის ბუნებრივი მატება შეიმჩნევა. სწორედ მსგავსი ფაქტორების გათვალისწინებით შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ პოტენციურად იმავე ტრამპის დაბრუნება, რომელმაც აღნიშნული პროცესების ორკესტრირება მოახდინა.

რაც შეეხება 2021 წლის კიდევ ერთ გამოწვევას, კოვიდ ვირუსს, თითქოს არსებობს გარკვეული კავშირი ანტი-ვაქსერებსა და ძალადობრივ ექსტრემიზმს შორის, არამხოლოდ იდეოლოგიურად, არამედ ქმედებებითაც. მსგავსი შეხედულებების ფუნდამენტში დევს ანტი-სახელისუფლებო იდეები, რომ სახელმწიფო ვერ მიგითითებს, რა გააკეთო. მსგავსი ანტი-სახელისუფლებო ექსტრემიზმის სხვადასხვა გამოვლინება ვნახეთ იტალიაში, გერმანიაში და დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ისინი საზრდოობენ კონსპირაციული თეორიებით, რასაც ახალ ექსტრემიზმამდე მივყავართ, რომლის დროსაც ადამიანები გარკვეულწილად აზავებენ სხვადასხვა შეხედულებას ულტრამემარჯვენე, ისლამისტური და ანტი-სახელისუფლებო სპექტრიდან. ამიტომ საკმაოდ უცნაურია, როდესაც ყველა თავის კონსპირაციულ თეორიას ქმნის.

ეს ყველაფერი, საბოლოოდ, აისახა იმაში, რომ ბაიდენის ადმინისტრაციამ შეიმუშავა სახელმწიფოებრივ ტერორიზმთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია. ჩანს, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია საკმაოდ სერიოზულადაა განწყობილი და ამ საკითხით რეალურად კვალიფიციური კადრია დაკავებული, რომელსაც ესმის შედეგების შეფასების პროცესი. თუმცა პრობლემა ნამდვილად არაა მარტივი, რამდენადაც ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც შესაძლებელია ყველა სახის იარაღის შეძენა.

პენტაგონმა ასევე შეიმუშავა ახალი ზომები სამხედროებში მიღებული და მიუღებელი ნორმების შესახებ. მნიშვნელოვანია ამ დოკუმენტის სრული გამჭვირვალობა სამხედრო

სამსახურში ექსტრემიზმის, განსაკუთრებით სოციალური მედიის სივრცეში, აღმოფხვრის ძალისხმევისთვის. ეს ახალი სახელმძღვანელო ინსტრუქციები მკაფიოდ ამბობს, თუ რა არის მისაღები და რა - არა, რაც ხელს უწყობს სამხედრო სამსახურის ხარისხობრივად გაუმჯობესებას.

6 იანვრის მოვლენების შემდეგ ვიხილეთ კონფლიქტის ესკალაცია ისრაელსა და ჰამასს შორის. მანამდე, ეს პროცესები ვიხილეთ 2008-2009 წლებში, 2012-ში და 2014-ში და კიდევ ვიხილავთ, სანამ სიტუაცია არ გადაწყდება. შეიძლება ითქვას, რომ სამომავლო პერსპექტივა კონფლიქტის დასრულებისა არც ისე ოპტიმისტურია. თუკი ადრე არაბული სახელმწიფოები იყვნენ აქტიურად ჩართულნი პროცესში, ახლა გაერთიანებული საამიროების ფაქტორის გათვალისწინებით ესეც აღარ გვაქვს სახეზე. 11 დღიანი ომის განმავლობაში ისრაელმა მოახერხა ასობით ჰამასის მებრძოლის მოკვლა, რასაც 138 მოქალაქის სიცოცხლეც ემსხვერპლა. ჰამასსაც ჰქონდა მსხვერპლი, მათ შორის, პალესტინელებს შორისაც. ამიტომაც ჰამასმა თავად უნდა გადაწყვიტოს, ღირს თუ არა ეს კონფლიქტი ამდენ დანაკარგად. მიუხედავად იმისა, რომ მისი რეიტინგები გარკვეულწილად აიწია ისრაელთან დაპირისპირებით, ამ დროისთვის ორგანიზაცია ისევ საწყის ზღურბლზეა. ამ პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო საზოგადოება უფრო მეტად გადართული იყო ავღანეთზე, რომლის მიმართაც დიპლომატია არც ისეთი წარმატებული აღმოჩნდა, როგორსაც მოველოდით.

2021 წლის მოვლენებთან დაკავშირებით ბოლო საკითხი ეხება აშშ-ს მიერ ავღანეთიდან ჯარების გამოყვანას, თალიბანის მიერ ქაბულის დაკავებასა და ტერორიზმის ლანდშაფტის შეცვლას. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ ამერიკისთვის პროცესები არასახარბიელოდ წარიმართა. ავღანეთიდან გამოსვლა არასათანადოდ იყო ორგანიზებული, არ იყო გამართული კომუნიკაცია. ამის შემდეგ ავღანეთში შეიქმნა ძალის ვაკუუმი, რომელიც შესავსებია. უესლი მორგანი თავის წიგნში ყველა იმ შეცდომას აღწერს, რომელიც აშშ-მ დაუშვა ბოლო 20 წლის განმავლობაში ავღანეთთან მიმართებით. ამასთან, მას შემდეგ, რაც ნატო-ს RSM მისია დასრულდა ავღანეთში, უპრიანი იქნება, თუკი ნატო ორიენტირდება ინფორმაციის გაზიარებისა და თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

თავის მხრივ, დაეში აფრიკის კონტინენტზე თავის ფილიალებს მხარს უჭერს მოზამბიკსა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ასევე უნდა ვახსენოთ ხორასანის პროვინცია, დაეში სინას ნახევარკუნძულსა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში. დაეშს ისეთი ქვეყნები, როგორიცაა თურქეთი, თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გამო, უნებურად სთავაზობს საშუალებას, დააფინანსოს აქტივობები ავღანეთსა და სამხრეთ აღმოსავლეთ აფრიკაში. ექსპერტების მიხედვით, ხდება თანხების ტრანზაქცია, თუმცაღა ვერ ვაფასებთ მასშტაბებს. ამერიკისთვის სიტუაცია გართულდა, რადგან ახლა ავღანეთში სამხედრო წარმომადგენლობა აღარ გვყავს, ამიტომაც ამას ერთგვარი სიბნელეში ფრენაც შეიძლება ვუწოდოთ.

2014 წლის რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შემდეგ სამეცნიერო წრეებში დაიწყო უცხოელი მებრძოლების ან უცხოელი ტერორისტი მებრძოლების კონცეფციის გამოყენება. უცხოელი მებრძოლები კონფლიქტის ორივე მხარეს გვხვდებიან უკრაინაში. დღეისათვის უკრაინა წარმოადგენს ადგილს, სადაც მარტივია თანამოაზრეების პოვნა რადიკალური, ნეონაცისტური ან მსგავსი მომიჯნავე შეხედულებების მქონე ადამიანებისთვის. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს კასპერ რეკავიკს.

ზემოთ განხილული მაგალითიდან ჩანს, რომ აშშ აცნობიერებს არმიაში ექსტრემისტული იდეოლოგიის არსებობის საფრთხეს. თუმცაღა, ჯერ კიდეც საკამათოა, მოაქვს თუ არა ზიანზე მეტი სარგებელი აზოვის ბატალიონის წევრების გაწევრიანებას ეროვნულ გვარდიაში. ეს გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, მოქმედებს პოპულარობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, დომინანტური სამხედრო იდეოლოგიის გავლენაზე. ექსტრემიზმს შეუძლია გავრცელდეს, როგორც ინფექცია, თუმცაღა, შესაძლებელია, აზოვის ბატალიონის წევრები მოერგონ პროფესიულ სამხედრო სამსახურსა და სტანდარტებს.

კიდევ ერთი გამოწვევა ჩინეთს უკავშირდება, ჩინეთი სწრაფად აფართოებს მის სტატუსს აფრიკაში, გაეროს აქვს გამოწვევები სამშვიდობო მისიებში, ევროკავშირის ქვეყნები, როგორიცაა საფრანგეთი, სულ უფრო ნაკლები ენთუზიაზმით გამოირჩევიან სამხედრო ოპერაციების ჩატარების კუთხით (ან დაფინანსების), აფრიკის კავშირს კი ფინანსური პრობლემები აქვს და უჭირს საჭირო ფინანსების მოძიება კონტრტერორისტული აქტივობებისთვის. ამ ყველაფერმა შესაძლოა გაზარდოს ჩინეთის როლი კონტრტერორისტული ძალისხმევის თვალსაზრისით აფრიკაში. ამასთან, შესაძლებელია, რომ ჩინეთის დიდი სავაჭრო ქსელის ინიციატივამ კონფლიქტამდეც მიიყვანოს ეს უკანასკნელი ძალადობრივ აქტორებთან. ეს ვიხილეთ პაკისტანისა და სამხრეთ აზიის შემთხვევაშიც, სადაც ჩინეთის ეკონომიკურმა გაფართოებამ იგი სხვადასხვა ჯგუფის სამიზნედ აქცია. ჩინეთის გლობალურ ძალად

ჩამოყალიბებასთან ერთად იზრდება მის ზურგზე არსებული „სამიზნეც“. თუმცაღა, დარწმუნებით ვერ ვიტყვით, რამდენად განალაგებს ჩინეთი აფრიკაში სამხედროებს, რამდენადაც ისინი სწორად სწავლობენ ამერიკის შეცდომებზე. ჩინეთი მხოლოდ ეკონომიკურ საქმიანობას აწარმოებს, აგდებს სახელმწიფოებს ეკონომიკურ ვალში, რაც, რეალურად თუ შევაფასებთ, ჭკვიანურია, რამდგან ამის შემდეგ უფრო მარტივად ხერხდება ტერიტორიაზე კონტროლის მოპოვება.

TRC

ტერორიზმის კვლევითი ცენტრი

TERRORISM RESEARCH CENTER